დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლა -საჯარო სკოლა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ვარდენ ნიქაბაძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავჯდომარე

წევრები:

ტარიელ გველესიანი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ხათუნა დუგლაძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

ინგა ხავთასი- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნონა ბეროშვილი-უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნინო ზირაქაძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წვერი

დიმიტრი პოპოვი- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

როლანდ ხოჯანაშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მარინე ახალია- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ლია ნეფარიძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი წევრი

ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი, წევრი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	233727802

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ლანჩხუთი/სოფელი ლესა
იურიდიული მისამართი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. სოფელი ლესა
ფაქტობრივი მისამართი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. სოფელი ლესა
საფოსტო ინდექსი	2800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	lesa@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577973877

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება # MES 9 23 0000973497 08.08.2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 27-28 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი , სოფელი ლესა

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი , სოფელი ლესა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო X-XII კლასები	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი , სოფელი ლესა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე "თიმსის" სივრცეში ჯგუფისთვის შეიქმნა ვირტუალური კლასი, სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებული იქნა , როგორც სკოლის თვითშეფასების განაცხადი ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია , რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომელებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრა დაიგეგმა ორივე სამუშაო დღეს. პირველ დღეს გაიმართა მცირე გაცნობითი შეხვედრა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, განხილული იქნა კურიკულუმის შემუშავებისა და სხვა ზოგადი საკითხები, მეორე სამუშაო დღეს კი ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ვიზიტის პერიოდში ადგილზე პედაგოგებთან უშუალო შეხვედრის დროს განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო, ლაბორატორიები და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

ვიზიტის თითოეული დღის ბოლოს ექსპერტებმა შეაჯამეს და მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა ითვლის არსებობის საუკუნოვან ისტორიას. სკოლას ჰყავს უამრავი წარმატებული აღზრდილი, რომლებმაც ღირსეული სიტყვა თქვეს და საქმე აკეთეს ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. უპირველესად აღსანიშნავია სკოლის ღირსეული აღზრდილი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი გიორგი ლომაძე, რომლის სახელსაც სკოლა ატარებს. იგი დაიღუპა სამაჩაბლოში ქვეყნის მთლიანობისთვის ბრძოლაში. სკოლის წარმატებულ აღზრდილთა გალერეას ამშვენებს ღირსების ორდენის კავალერი თსუ-ს პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპოდენტი ბატონი სერგო ჯორბენაძე. იგი იყო თსუ-ს პრორექტორი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

პროფესორი ვახტანგ გოგუაძე, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა ლესის საშუალო სკოლა, იყო თსუ-ს პრორექტორი, პარლამენტის სპიკერი. იუზა ევგენიძე-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. სკოლის დიდი მეგობარი, ასოცირებული პროფესორი ბატონი თამაზ გოგიჩაიშვილი. იგი არის მრავალი სამეცნიერო თუ ბიოგრაფიული წიგნის ავტორი. მათ ტრადიციებს წარმატებით აგრძელებს სკოლის კურსდამთავრებული, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო პოლიტიკის მრჩეველი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი მიხეილ ავთანდილის ძე სარჯველაძე. იგი აქტიურად თანამშრომლობს და ზრუნავს მშობლიურ სკოლაზე. მან საკუთარი ხარჯებით დააწესა წარჩინებულ მოსწავლეთათვის სტიპენდია.

ზოგადად სკოლას აქვს დიდი ტრადიცია კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის და დახმარების, მაგალითად დახმარების ხელი გაუწოდა სკოლას კურსდამთავრებულმა, ბიზნესმენმა სამშენებლო კომპანია ,,ორბის ''დამუძნებელმა ზაზა ზოიძემ, რომელმაც ელექტრო პიანინო გადასცა საჩუქრად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---500----------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგასაგანმანათლებლო პროგრამები საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასდა მეტწილად , დაწყებით საფეხურზე - სრულად----------

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N. 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია ადამიანური რესუსრსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დაამტკიცოს უფლებამოსილმა ორგანომ-სკოლის სამეურვეო საბჭომ
ინდიკატორი 3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესუალურ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია , ამავე სკოლის დირექტორის 05.11.2023 წლისს # 2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პლიტიკის დებულების“ გარდამავალი მუხლების

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;	შესაბამისად, გაწეროს და დაამტკიცოს პროცესების აღმწერი დოკუმენტები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის აღმწერი დოკუმენტი (ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისი) 01.01.2024-მდე.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	• სკოლამ წარმოადგინოს შენობის მდგრადობის დასკვნა 01.01.2024 -მდე ; • სკოლამ წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა 01.01.2024 -მდე;
ინდიკატორი 3.4.1.7	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, სკოლამ განახორციელოს ძალადობის რისკების (ანონიმური) შეფასება მოსწავლეებში და მასწავლებლებში (01.12.2023 მდე).
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი: საბაზო საფეხური (კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ 01.05.2024-მდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი: საშუალო საფეხური (კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ 01.05.2024-მდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი 1.1.1.6	*სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.*	*სკოლის სახელწოდება საჯარო რეესტრში ფიქსირდება , როგორც „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლა“.* - სკოლამ უნდა მიმართოს შესაბამის სამსახურებს არნიშნული პრობლემის არმოსაფხვრელად
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***

ინდიკატორი 3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	*კათედრებმა და ხარისხის ჯგუფმა, აწარმოოს სტატისტიკა, აღრიცხონ კონკრეტული მასწავლებლის პროგრესი. სკოლამ წარმოადგინოს მასწავლებლების გარდა სხვა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმები. სკოლამ შეიმუშავოს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმები;*
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*გააფორმოს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან*
ინდიკატორი 3.5.1.2	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;*	*სკოლის ბიბლიოთეკარმა იმოქმედოს დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად, აწარმოოს სტატისტიკა , შეისწავლოს მოსწავლეთა და კათედრების საჭიროებები , დაგეგმოს კითხვის პოპულარიზაციის ღონისძიებები. შეისწავლოს /დაადგინოს საჭირო ლიტერატურის დასახელება და წარუდგინოს სკოლის დირექციას, იზრუნოს წიგნადი ფონდის განახლებაზე .*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.1.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*ფიზიკური აღზრდასა და სპორტში სამივე საფეხურზე სასურველია შეიქმნას ისეთი შეფასების რუბრიკები, რომლებიც განსაზღვრავს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნების მიხედვით და მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ან ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა გამომდინარეობას და შესაბამისობაშია ზგემთან. აქ ხაზგასმულია ზოგადი განათლების მიზნების შესაბამისი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები , 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები.

2. სკოლა თავისი მისიით აშკარად აღნიშნავს საკუთარ როლს, სკოლის მისიაში ხაზგასმულია ჯანმრთელი მოსწავლეების, აღზრდა, რაც აშკარად გამორჩეულად წარმოაჩენს სკოლის როლს. აღნიშნულ საკითხს სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროსაც გაუსვეს ხაზი. სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა : სპორტული მოედნები , კეთილმოწყობილი დარბაზი და სურვილი აქვთ სკოლამ განსაკურებულად იზრუნოს სპორტულადა აქტიური და ჯანსაღი თაობის აღზრდისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა , რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობენ როგორც სკოლის პედაგოგები , ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრები მშობლები, მოსწავლეები. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში მონაწილე პირები განისაზღვრა სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნულმა ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავა დოკუმენტის პროექტი. შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენისთვის გაუზიარა და გააცნო დაინტერესებულ ჯგუფებს, მათ შორის პედაგოგიურ საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მიუხედავად იმისა , რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა (სადაც წარმოდგენილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) დამტკიცებული იქნა ავტორიზაციის პროცესის პარალელურად, ვიზიტის პერიოდში სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებით, ასევე გასაუბრებით აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია და ღირებულებები გააზრებულია სასკოლო საზოგადოების პედაგოგიური ნაწილის (სულ მცირე) მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ავტორიზაციის განხორციელების მომენტისთვის სკოლის მისია ხედვა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო სკოლის ფოიეში. გასაუბრებაზე აღინიშნა , რომ სკოლა სამინისტროს მხარდაჭერით მუშაობს ვებგვერდის შემუშავებაზე სადაც აიტვირთება სკოლასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6 . სკოლის სახელწოდება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დაწესებული ტერმინთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის # 448 ბრძანებასთან, თუმცა საჯარო რეესტრში ამ ეტაპზე განსხვავებული სახელწოდებით ფიქსირდება.

ამონაწერი აღებულია 2023 წლის 23 მაისს, სადაც მოსარგებლედ მითითებულია სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლა. სკოლას სსიპ გიორგი ლომიძის სახელი მიენიჭა 2017 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 06 აპრილის N64/ნ ბრძანებით. წარმოდგენილ საგადასახადო რეგისტრაციის

შესახებ გაცემულ ცნობაში (06.06.2023 წ.) სკოლა ფიგურირებს , როგორც სსიპ გიორგი ლომიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლა. ასეთივე სახელწოდებით წარმოდგენილია სააქციო საზოგადოება ლიბერთი ბანკის საგადახდო დავალება (05.06.2023 წ.).

აქედან ირკვევა, რომ სახელის მინიჭების შემდეგ სკოლას არ მიუმართავს საჯარო რეესტრისთვის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით.

რჩევა: სკოლამ მიმართოს შესაბამის ორგანოებს, რათა მისი სახელწოდება ყველა სახელმწიფო უწყებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის # 448 ბრძანების შესაბამისად ერთნაირად ფიქსირდებოდეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოები წევრებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომავდი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის და მათი პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, დეტალურად გაწერილი. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს. სკოლის მისიასა და ხედვაში ცალსახად არის ხაზგასმა ჯანმრთელი და სპორტულად აქტიური მოქალაქეების აღზრდაზე , სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც ცალკე პუნქტად არის დასახული მიზანი აღნიშნული მიმართულებით .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არის სრული, დეტალურად გაწერილი და სრულ შთაბეჭდილებას ქმნის პროცესების და საქმიანობის დაგეგმვის თვალსაზრისით. აღნიშნული გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. სკოლამ ვერ წარმოდგინა 2021-22 სასწავლო წლის თვითშეფასების ის დოკუმენტი და ანალიზი, რომლის საფუძველზეც შეიმუშავა 2022-23 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია, რომ დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშში ნაწილობრივ ასახულია სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობა, თუმცა, როგორც წესი აქ აქცენტი კეთდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. საერთო ჯამში სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება და 2022-23 წლიური სამოქმედო გეგმის შინაარსი ცხადყოფს, რომ წლიური სამოქმედო გეგმა პასუხობს სკოლის გამოწვევებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ეფუძვნება სტრატეგიულ გეგმას , ცალკე პუნქტადაა დამატებული ამოცანები , რომლებიც სკოლის მიერ გაცხადებულ ჯანსაღი თაობის აღრზდას ემსახურება. წარმოდგენილია გეგმის შესრულების გაზომავდი მექანიზმები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

ზეპირი ინტერვიუ

2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითრების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მე-11 მუხლი მთლიანად ეთმობა მონიტორინგის საკითხებს, კერძოდ დასახულია მონიტონგის განხორციელების 2 სხვადასხვა ალტერნატივა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას ძველი სტრატეგიული გეგმა არ წარმოუდგენია. ხოლო ახალი 7-წლიანი, მიიღეს ახლა, ამდენად, მონიტორინგს განახორციელებენ ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან, როგორც აღვნიშნეთ მონიტორინგის მკაფიო მექანიზმები მეთოდოლოგიის გაწერილი აქვთ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. განაცხადში სკოლა აღნიშნავს, რომ „სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგებზე ყოველი წლის 10 დეკემბერს აკეთებს ზეპირ და წერილობით ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე“. დირექტორი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს წარადგენს სამეურვეო საბჭოს წინაშე, რომელშიც ძირთადი აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ სასწავლო პროცესზე . გასაუბრებიდან და განაცხადის შინაარსიდან არ იკვეთება ამ დოკუმენტის სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისთვის, განსაკუთრებით მშობლებისთვის ხელმისაწვდომობა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილობრივ არის საჯარო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. რამდენად იყენებდა სკოლა აქამდე წინა წლის შედეგების ანალიზს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების შემდგომი განვითარებისთვის ამ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება. სტრატეგიული განვითრების და წლიური სამოქმედო გეგმა უკვე დამტკიცებულია. სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გვაქვს მონიტორინგი და შეფასების მექანიზმები მიღებული შედეგების სისტემური მონიტორინგის დასანერგად, ასევე მიღებული შედეგების შემდგომ ღონისძიებებში გამოსაყენებლად .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

წლიური სამოქმედო გემის პროექტი

სკოლის 7 სტრატეგიული განვითარების გეგმა

ზეპირი ინტერვიუ

სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები სკოლის დირექტორის #2-87, 2-83 ბრძანებით დეტალურად არის განსაზღვრული: სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც მიხედვითაც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. იმავე დოკუმენტში შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა (თანამდებობრივი ინსტრუქციები), რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლების ფუნქციები დამატებით გაწერილია ცალკეულ დოკუმენტებშიც, მაგალითად ბიბლიოთეკარის, ბიბლიოთეკის დებულებაში N2-75.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება N2-85

სკოლაში ფუნქციონირებს:

სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება სამი პედაგოგისგან, სამი მშობლისა და ერთი თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან.

პედაგოგიური საბჭო, რომელიც მოიცავს 6 საგნობრივ კათედრას: სახელმწიფო ენის კათედრა, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, უცხოური ენების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის. დაწყებითის პედაგოგები გაერთიანებულნი არიან საგნობრივ ჯგუფებში **(სასკოლო სასწავლო გეგმა).**

სკოლის დირექცია: დირექტორის მოადგილე-დროებით ასრულებს დირექტორის მოვალეობას, ბუღალტრისგან.

სკოლის ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექთანი, ბიბლიოთეკარი, 3 დამლაგებელი, 2 დარაჯი, ცეცხლფარეში - ხელშეკრულებით (სკოლას დამატებით ჰყავს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური სტატუსის მქონე 3 თანამშრომელი - 2 მეეზოვე, 1 დარაჯი).

დისციპლინური კომიტეტი: რომელიც შედგება ორი მასწავლებლის, ორი მოსწავლის და ორი მშობლისაგან.

მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შედის

- სკოლის დირექტორის მ.შ,
- სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე,
- სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი,
- 2 მასწავლებელი
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე,
- სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრი,
- სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე,
- ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. **(ბრ 2-27 31.05.2023 წ. ოქმები წარმოდგენილი არ არის)**

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომელიც დამტკიცებულია 2022 წლის 21 ოქტომბერს საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომაზე ოქმი N1, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სკოლის დოკუმენტებში ჩანს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების და პასუხისგებლობის გადანაწილება. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, ანგარიშვალდებულების სასკოლო სისტემა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის დირექტრის 2023 წლის* #2-87, 2-83 ბრძანება *სტრუქტურის შესახებ*
- ბიბლიოთეკის დებულება N2-75, ბრ 2-27 31.05.2023 წ.
- ზეპირი ინტერვიუ

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მართვის პროცესები სკოლაში ხორციელდება კანონმდებლობის დაცვით, სკოლას აქვს შინაგანაწესი, ასევე სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადაც დეტალურად არის გაწერილი თითოეული თანამშრომლის ფუნქციები. **მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში გამოკვეთილია ერთი შეუსაბამობა: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია არაუფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ სკოლის დირექტორის ბრძანება 2-83 -ით (25.09.2023 წ).** საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსა და დირექტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №785 2007 წლის 31 აგვისტო), ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტს შეიმუშავებს დირექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. მოცემულ შემთხვევაში დოკუმენტი დაამტკიცა დირექტორმა.

   ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისი**

   რეკომენდაცია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დაამტკიცოს უფლებამოსილმა ორგანომ სამეურვეო საბჭომ

2 . სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე პერსონალის მართვის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის მართვას და ორიენტირებულია მის განვითარებაზე, სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს მოხდეს არსებული დოკუმენტის რევიზია, რათა ახალ დოკუმენტში მკაფიოდ იქნას გაწერილი პერსონალის მხარდაჭერაზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება. შეფასების დონეზე მოხდეს პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, რათა გაიზარდოს ანგარიშგება და პასუხისმგებლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში (პერსონალის შერჩევა-დანიშვნის შესახებ ბრძანება 2-52 20.07.2023 წ.) tpdc.ge ზე ან hr.ge ზე კანონის შესაბამისად ცხადდება ვაკანსია, იქმნება კომისია და კანონმდებლობის წესის შესაბამისად საკონკურსო ეტაპების გავლის შემდგომ (დოკუმენტაციის გადარჩევა, გასაუბრება) 2-52 20.07.2023 წ. და ხდება მოთხოვნათა შესაბამისად

კვალიფიციური კადრის შერჩევა. სკოლას ჰყავს კონკურსით შერჩეული მასწავლებელი - ბრძანება N2-41, 01.09.2022 წ. პედაგოგ N-ის ცნობები და თანამშრომელთა შსს ცნობები. სპეციალური მასწავლებელი, ექთანი (ხელშეკრულება N02 01.10.2022 წ. ოქმი N5, ბრძანება 1-კ/19 07.20.2022 წ.) სამივე მათგანის შერჩევის პროცესი ნაწარმოებია გამართულად. შერჩეულია საჭიროებაზე მორგებული პიროვნებები შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. ყველა ახალ თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს შსს-ს მიერ გაცემული ყველა საჭირო დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დასაქმებული ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას ჰყავს 3 წამყვანი და 17 უფროსი მასწავლებელი. სკოლის პედაგოგები მოტივირებული არიან და აპირებენ სტატუსის ასამაღლებელი გამოცდის ჩაბარებას. რომლებიც სიახლეებს ჯერ საკუთარ კლასებთან გამოცდიან, შემდეგ უზიარებენ გამოცდილებას სხვებს. მასწავლებლები ქმნიან სასწავლო ჯგუფებს და მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, მასწავლებელს ეძლევა სიტყვიერი რეკომენდაციები, სკოლაში დამკვიდრებულია ,,კრიტიკული მეგობრის" კულტურა ხედვათა გაზიარებისთვის. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. მასწავლებლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში ამ ეტაპზე ვაკანტურია დირექტორის ადგილი, სკოლაში ვიზიტის პერიოდში აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობით და სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. თანამშრომლების შეფასების პროცესში აქტიურად არის ჩართული კოლექტიური ორგანო - ხარისხის ჯგუფი. სკოლაში ფართოდაა დანერგილი კრიტიკული მეგობრისა და ურთიერთდასწრების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლაში ვიზიტისას ადგილზე ზეპირი ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლას ჰყავს სხვადასხვა საგნის წამყვანი მასწავლებლები, რომლებიც სიახლეებს ჯერ საკუთარ კლასებთან გამოცდიან, შემდეგ უზიარებენ გამოცდილებას სხვებს. მასწავლებლები ქმნიან სასწავლო ჯგუფებს და მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, მასწავლებელს ეძლევა სიტყვიერი რეკომენდაციები, სკოლაში დამკვიდრებულია ,,კრიტიკული მეგობრის" კულტურა ხედვათა გაზიარებისთვის დანართი N23. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. მასწავლებლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.1 პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი N2-76, 05.12.2022წ.

3.1 ბრძანება 2-83 25.09.2023 წ.

3.1 პერსონალის შერჩევა-დანიშვნის შესახებ ბრძანება 2-52 20.07.2023 წ.

3.1ბრძანება N2-41, 01.09.2022 წ.

3.1ხელშეკრულება N02 01.10.2022 წ.

3.1 ბრძანება 1-კ/19 07.20.2022 წ.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი. **(ბრძანება N2-76 05.12.2022 წ.)** სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის მართვის დებულება **(დირექტორის ბრძანება N2-74 29.11.2020 წ.)** და ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მართვის ჯგუფი **(წარმოდგენილია ოქმები, არ არის წარმოდგენილი ბრძანება).** სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების დამტკიცების შესახებ - **(ბრძანება -N2-85 25.09 2023 წ.)** ხარისხის განვითარების და პროფესიული მართვის ჯგუფი წინასწარ გაწერილი პერიოდულობით ესწრება საგაკვეთილო პროცესს და აფასებს მასწავლებელთა საქმიანობას, აძლევს უკუკავშირს, შედეგებს აფორმებს ოქმების სახით. საჭიროების დადგენის მიზნით ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და გამოკითხვა. საიდანაც იკვეთება გარკვეული საჭიროებები, კერძოდ შემაჯამებელი დავალებების ერთფეროვნება და კომპლექსური დავალებების ანალიზის გაკეთების არსი. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალებების გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს სააზროვნო უნარ-ჩვევების და კვლევის უნარების განვითარებას. კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები **(დანართი N22), (დასწრება გაკვეთილებზე დანართი N16).**

სკოლას დირექტრის მ.შ.-ს დამტკიცებული აქვს **პერსონალის შერჩევის/დანიშვნის/შეფასების დოკუმენტი # 2-52, რომელიც პერსონალის შერჩევის საკითხებთან ერთად მოიცავს** პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში სისტემატურად ხდება საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვება, კათედრისა და ხარისხის ჯგუფის აწვდის უკუკავშირს მასწავლებელებს. ამავე დროს არ აწარმოებენ სტატისტიკას, საერთო მონაცემების ანალიზს. არ /ვერ აღრიცხავენ როგორც კონკრეტული მასწავლებელს პროგრესს, ასევე ზოგად ტენდენციებს ხარისხის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მიმართულებით.

რჩევა: კათედრებმა და ხარისხის ჯგუფმა, აწარმოოს სტატისტიკა, აღრიცხონ კონკრეტული მასწავლებლის პროგრესი. სკოლამ წარმოადგინოს მასწავლებლების გარდა სხვა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმები. სკოლამ შეიმუშავოს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ადგილზე ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა დროულად აწვდის პერსონალს ყველა შესაბამის ინფორმაციას კარიერული წინსვლისათვის. პედაგოგები ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებსა და ვები ნარებს. სკოლა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს პედაგოგებს სასწავლო რესურსითა და მეთოდური ლიტერატურით. სკოლის ბუღალტერს ჩართულია ტრენინგში, რომელსაც ატარებს ფინანსთა სამინისტროს აკადემია.

სკოლის პერსონალი საკმაოდ მომზადებულია. პედაგოგები არიან ჩართულნი მესამე თაობის ესგ-ს დანერგვაში. სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პედაგოგებს. თვალნათლივ ჩანს კათედრათა შორის თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.ახალი თანამშრომლის მიღებისას სკოლის საზოგადოებასთან ინტეგრაციისათვის სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა ტრანზაქციის ხელშეწყობის მექანიზმები **(ბრძანება 2-71 14.09.2023 წ.)** სკოლა ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან თანამშრომელთა

ინტეგრაციას, რაც დასტურდება სამასწავლებლოს შესაბამისი აღჭურვილობით, თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, ტექნიკის, აღჭურვილობის არსებობით. ყველა რესურსი ხელმისაწვდომია სკოლის საზოგადოების წარმომადგენლისათვის. შექმნილია კომფორტული სამუშაო გარემო. სკოლა ზრუნავს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციაზე სასკოლო გარემოში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა ახალისებს პერსონალის განვითარებას და წარმატებებს, მ/შ ფულადი ჯილდოთი. აღნიშნული გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში, სადაც გაწერილია კერძოდ: მადლობის გამოცხადება, სკოლის საინფორმაციო დაფაზე განთავსება, პრემიის გაცემა, დამლაგებლის პრემია დანართი N27 ბრძანება 1-კ/15, 15.08.2022 წ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*
- ბრძანება N2-76 05.12.2022 წ.
- დირექტორის ბრძანება N2-74 29.11.2020 წ.
- დანართი N22, (დასწრება გაკვეთილებზე დანართი N16.
- ბრძანება 2-71 14.09.2023 წ.
- დანართი N27 ბრძანება 1-კ/15, 15.08.2022 წ.
- *ზეპირი ინტერვიუ*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესუალურ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტერვიუდან როგორც გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების პროცედურები, რაც მტკიცდება 2023 წლის 25 სექტემბრის 2-85 ბრძანებით. სკოლაში ხორციელდება პედაგოგთა

სამუშაო შეხვედრები და ურთიერთდასწრებები სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის, თუმცა მას არა აქვს ციკლური ხასიათი (დანართი N16-22-23-24). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი **(წარმოდგენილია ოქმები, არ არის წარმოდგენილი ბრძანება).** ასევე სკოლის დირექტრს 2023 წლის 5 ნოემბრის 2-105 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დებულება, რომლის შესაბამისად სკოლა გეგმავს საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული დოკუმენტის სრულად ამოქმედებისთვის გარდამავალი მუხლები დამატებით ითვალისწინებს პროცესების აღმწერი დოკუმენტების შემუშავებას და დამტკიცებას 2024 წლის 1-ლ იანვრამდე . ამ ეტაპზე სკოლის მიერ პროცესების აღმწერი მხოლოდ 2 დოკუმენტია შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და კურუკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. აქედან გამომდინარე ინდიკატორი ფასდება , როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

ინდიკატორი

რეკომენდაცია: სკოლამ დირექტორის 05.11.2023 წლისს # 2-05 ბრძანებით დამტკიცებული 'ხარისხის უზრუნველყოფის პლიტიკის დებულების „ გარდამავალი მუხლების შესაბამისად, გაწეროს და დაამტკიცოს პროცესების აღმწერი დოკუმენტები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის აღმწერი დოკუმენტი (ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისი) 2024 წლის 1-ლ იანვრამდე .

2. სკოლას ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დებულებაში, შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები, რომლის თანმიმდევრულ განხორციელებას გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებშიც: პერსონალის მართვის დოკუმენტში, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საჩივრების განხილვის პროცედურები, (ბრ. 2-75 14.09.2023 წ.) რომლის მიხედვითაც გეგმავს საქმიანობის წარმართვას 2023-2024 სასწავლო წლიდან. წარმოდგენილია სკოლის დისციპლინარი კომიტეტის 2022 წლის სხდომის ოქმი. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები ბრ. 2-72 14.09.2023 წ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია, დასაქმებულების შრომის პირობების დაცვის წესები (მუხლი 5), სკოლის შინაგანაწესის მე-4 მუხლში განსაზღვრულია დასაქმებულის დისკრიმინაციის აკრძალვა. თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) (ბრძ. 2-70 31.10.2022 წ.) სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, მშობელთა ინფორმირებულობა განისაზღვრება დამრიგებლის დებულებით, რომელის წარმოადგენს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დანართს. შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება (მუხლი 19,მუხლი 23).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 25 სექტემბრის 2-85 ბრძანებით.
- დირექტორის ბრძანება საჩივრების განხილვის პროცედურები, ბრ. 2-75 14.09.2023 წ.
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები ბრ. 2-72 14.09.2023 წ.
- შინაგანაწესი
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ზეპირი ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება დამრიგებელთა მეშვეობით, მშობელთა ინფორმირებულობა განისაზღვრება დამრიგებლის დებულებით, რომელის წარმოადგენს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დანართს, ასევე პირისპირ შეხვედრებით. ასევე აქტიურად იყენებენ, როგორც სოცილურ ქსელს, ასვე ახლად ამოქმედებულ სკოლის ვებ-გვერდს skolebi.emis.ge-ზე, სადაც განთავსებულია კანონმდებლობით, მათ შორის ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული დოკუმენტები. სკოლამ წარმოადგინა ხელმოწერები სკოლის მისიის ხედვის წინა 1 წლიანი და 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის გაცნობასთან დაკავშირებით. სკოლა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებთან დაკავშირებით მშობელთა ინფორმირებისთვის აქტიურად იყენებს ელექტრონული ჟურნალის შესაძლებლობებს. სკოლის 1-ლ სართულზე არის საინფორმაციო დაფა, სადაც თავსდება ახალი ინფორმაცია, საჯაროდ გაზიარების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელშიც შედის პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. ასევე შინაგანაწესის გაცნობის ხელმოწერები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულში, სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოში, მოსწავლეთა თვითმმართველობაში და ა.შ. შესაბამისი წესით ჩართულია მოსწავლეთა და მშობლების წარმომადგენელები. აღნიშნული დასტურდება დისციპლინური კომიტეტის და სამეურვეო საბჭოს ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმმართველობის ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- სკოლის სოციალური გვერდი
- დამრიგებლის ჟურნალები
- ზეპირი ინტერვიუ
- სივრცის ფოტოები

☒
☐
☐
☐

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში, სკოლის დონეზე აქვს დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების საგანგებო მართვის გეგმა **ბრ 2-66 09.09.2023 წ.** გეგმა შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რაც დასტურდება ამავე სამსახურის უფროსის თეიმურაზე მღებრიშვილის 2023 წლის 17 ოქტომბრის წერილით . ადგილზე ინტერვიუდან გაირკვა, რომ სკოლას აქვს 2018 წლის რეაბილიტაციის წინ გაცემული სკოლის მდგრადობის შესახებ დასკვნა. რაც შეეხება ახალ დასკვნას სკოლამ ეს დოკუმენტი ვერ წარმოადგინა, თუმცა შენობა ახალი რეაბილიტირებულია და ვიზუალურად მდგრადობა თვალსაჩინოა. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით განსაზღვრულია სახანძრო სამაშველო ჯგუფის უფროსი . ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო მიმწოდებილისგან ახლად მიღებულ მიერ საევაკუაციო გეგმებსა და სხვა ნაბეჭდ მასალაში (2023 წლის 22 სექტემბრის ხელშეკრულება), ამის გამო კედლებზე არ იყო დამონტაჟებული ცეცხლმაქრები, რომელიც უნდა განთავსდეს საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან მიღებული აქვს სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი #189, 2023 წლის 26 ივლისი, რომლის მიხედვითაც შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარაგეულირებელ ნორმებს. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები და

მიღება-ჩაბარების აქტები, რომლითაც დასტურდება სკოლის მუშაობა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით.

ინდიკატორი შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაცია:

- **სკოლამ წარმოადგინოს შენობის მდგრადობის დასკვნა 01.01.2024 -მდე ;**
- **სკოლამ წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა 01.01.2024 -მდე;**

2. 2023 წლის 14 სექტემბრის N2-73 ბრძანებით დამტკიცებულია ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უფლებამოსილ პირად 2019 წლის 01 ოქტომბრის 2-68 ბრძანებით პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია მასწავლებელი. სკოლას ჰყავს ექთანი, სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია სრულად, პაციენტის გასასინჯი პერიმეტრი ფარდით არის გამოყოფილი დანარჩენი სივრცისგან, მიმდინარეობს სამედიცინო ჟურნალის წარმოება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები **ბრ. 2-74 14.09.2023 წ.** აღსანიშნავია, რომ სკოლაში ვიზიტი განხორციელდა სასწავლო დღეებში, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა საკმაოდ მშვიდ გარემოში. დამრიგებლები და მორიგე მასწავლებლები მუდმივად თვალყურსა ადევნებენ მოსწავლეებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ვიზიტის დროს სკოლის ეზოსა და შენობაში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, საპირფარეშოები უზრუნველყოფილია მუდმივი წყლით, სისუფთავეა, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და მასალებით. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმის მექანიზმები **(ბრ. N2-76 14.09.2023 წ.).**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემთა დაცვის მექანიზმი **ბრ. N 2-26 31.05.2023 წ.** პირადი საქმეები და პერსონალის მონაცემები ინახება დაცულ სივრცეებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის ინფორმაციის დაცვის მიზნები და მექანიზმები **(ბრ. N2-77 14.09.2023 წ.),** სკოლას დანიშნული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხიმგებელი პირი.

ინდიკატური დაკმაყოფილებულია

7. სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასების ამსახველი რაიმე დოკუმენტაცია, თუმცა სკოლას დაგეგმილი აქვს სკოლამ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მიზნით, იხელმძღვანელობს ახლად შექმნილი სპეცილური კითხვარით, პერიოდულად ანონიმურად შეაფასოს უსაფრთხო გარემო და რისკები. შესაბამისად შეასრულოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06/ნ ბრძანების მე-7 და მე-8 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია: ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით სკოლამ განახორციელოს ძალადობის რისკების (ანონიმური) შეფასება მოსწავლეებში და მასწავლებლებში (01.12.2023 -მდე).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო მართვის გეგმა ბრ 2-66 09.09.2023 წ.
- მრჩეველთა საბჭო (ბრ. N2-27 31.05.2023 წ.)
- სახანძრო სამაშველო ჯგუფის უფროსი ბრ. 2-66 09.09.2023 წ.
- გარემოს უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები ბრ. 2-74 14.09.2023 წ.
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმის მექანიზმები (ბრ. N2-76 14.09.2023 წ.).
- პერსონალური მონაცემთა დაცვის მექანიზმი ბრ. N 2-26 31.05.2023 წ.
- სკოლის ინფორმაციის დაცვის მიზნები და მექანიზმები (ბრ. N2-77 14.09.2023 წ.)
- ვიზუალური დათვალიერება;
- ზეპირი ინტერვიუ

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინე-ბით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებით. საბუნებისმეტყველო საგნებისათვის გამოყოფილია ლაბორატორიები, რომლებიც არ არის აღჭურვილი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. შენობა მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესაში. სკოლა არის ორ სართულიანი და გათვლილია 280 მოსწავლეზე, საჯარო რეესტრის ამონაწერით ეზოს ფართი შეადგენს 16244 კვ.მ, სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რომლის სარგებლობის წესი არის გაწერილი, ტექნიკის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირი **ბრ. 2-03 10.02.2022 წ.** სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა **(დანართი N35).** სამასწავლებლო, შიდა და გარე სპორტული მოედანი, სასადილო, ექიმის ოთახი, რესურს ოთახი, დირექციის და ადმინისტრაციის კაბინეტები, დარაჯის ოთახი, კეთილმოწყობილი ეზო. სკოლა დაფარულია უკაბელო ინტერნეტით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა (**2022-2023 სასწავლო წელი დანართი N21.)** ბიბლიოთეკის დებულება **ბრ. N2-75** წიგნადი ფონდის განახლება ხდება ეტაპობრივად, მოსწავლეთა მოთხოვნების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკაში არის ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი. ამ ეტაპზე სკოლას არა აქვს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი.

რჩევა: სკოლის ბიბლიოთეკარმა იმოქმედოს დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად, აწარმოოს სტატისტიკა. დაგეგმოს კითხვის პოპულარიზაციის ღონისძიებები. შეიმუშავოს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შენობა ადაპტირებულია, აქვს ლიფტი შშმ პირებისათვის, ადაპტირებულის სველი წერტილები, გააჩნია პანდუსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ვიზიტისა და ზეპირი ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება ერთიან, სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები, კონკურსები, შემოქმედებითი კონფერენციები, პროექტების პრეზენტაციები, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები. გარე სპორტულ მოედანზე ტარდება, როგორც სასკოლო, ასევე სარაიონო სპორტული ღონისძიებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა სარგებლობს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოებით, აქვს ბუკები და პლაკატები. კურიკულუმებში არსებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სკოლის დაწესებულების ბიბლიოთეკაში. სკოლის მთლიანი სივრცე დაფარულია უკაბელო ინტერნეტით.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების შევსება და მისი ეფექტური გამოყენება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტექნიკის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირი ბრ. 2-03 10.02.2022 წ.
- ბიბლიოთეკის დებულება ბრ. N2-75

- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციის და ადმინისტრაციის სივრცეები აღჭურვილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, ყველგან არის ხელმისაწვდომი უკაბელო / ხაზის ინტერნეტი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია ლეპტოპები. პროექტორი, საჭირო რაოდენობის პრინტერი/სკანერი, რომელიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომია ყველასთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (**ბრ. N2-78 2023წ. 14.09.**)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიების სასწავლო და სამუშაო პროცესებში გამოყენების არეალის ჰარმონიულად გაზრდას. სკოლას არ ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი (ტექნიკის გამოყენებაზე და განრიგის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი **(ბრ. N 2-03, 10-02 2022 წ.)** რათა კომპიუტერული ლაბორატორია ეფექტიანად იქნას გამოყენებული, როგორც ტექნოლოგიების გაკვეთილებზე, ასევე სხვა გაკვეთილებზე, არაფორმალური აქტივობებისთვის, მოსწავლეების , მასწავლებლების და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების მიერ.

რჩევა: სკოლამ სრულიყოს სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი და განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

- ვიზუალური დათვალიერება
- ციფრული განვითარების გეგმა
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი ბრ. N2-78 2023წ. 14.09.2023 წ.
- ტექნიკის გამოყენებაზე და განრიგის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი ბრ. N 2-03, 10-02 2022 წ.
- ზეპირი ინტერვიუ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ეყრდნობა საქმისწარმოების ზოგად ნორმატიულ აქტებს, მაგალითად საქართველოს პრეზიდენტის 1993 წლის ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,საქმის წარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების" შესახებ. სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქცია 2023 წლის 20 ივლისის N2-51 ბრძანებით. თვითშეფასების განაცხადისა და ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რომ სკოლაში ამჟამადაც მოქმედებს კოვიდ19 გამოწვეული დისტანციური სწავლების და მუშაობის შესაბამისად საქმისწარმოებას განსხვავებული წესი, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობას. ვიზიტის დროს სკოლამ ხარისხის განვითარების ცენტრის გავლით წარმოდგინა ბრძანება საქმისწარმოების ახლი წესის დამტკიცების შესახებ თუმცა მას დანართი უშუალოდ საქმისწარმოების წესი არ ახლავს.

ხარვეზი: სკოლაში ამჟამადაც მოქმედი საქმისწარმოების განსხვავებული წესი, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლამ შეიმუშაოს საქმისწარმოების წესის განახლებული ინსტრუქცია.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით. სკოლის საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

სკოლა იყენებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავარობის შემოთავაზებულ ელექტრონულ ინსტრუმენტებს მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება eflow, eschool, rs.ge, email.mes.gov.ge, Office 365, MS Word, MS Exel. MS Power Point, Facebooc - ვებგვერდს და ა.შ. eflow-ის საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულფასოვანი პროფილი მართვის ელექტრონულ სისტემაში, შეტანილი აქვს მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლის მონაცემები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ადგილზე სისტემის ვიზუალურად დათვალიერებით აღმოჩნდა , რომ ყველა ანგარიშს და ინფორმაციას დროულად აწვდიან რესურსცენტრს, დროულად აწვდიან ფინანსურ ანგარიშებს. სკოლას გამოქვეყნებული აქვს ანგარიში მაცნეს გვერდზე საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, დროულად ბარდება დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოს.

დასტურდება (მტკიცებულებები): **დანართი 38, 2022 წლის 09 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N5.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქცია 2023 წლის 20 ივლისის N2-51 ბრძანება (დანართის გარეშე)
- დანართი 38, 2022 წლის 09 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N5.
- ზეპირი ინტერვიუ
- ადგილზე დათვალიერება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებ-გვერდი , ასევე აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook) სკოლის ვებ გვერდზე და სოციალურ გვერდზე ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, სიახლეებზე.

ხარვეზი:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რათა სკოლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყოს სანდო და უტყუარი. ინფორმაციის გამოქვეყნება ხდება სკოლის სოციალურ ქსელში, მიმდინარეობს ვებ-გვერდზე მუშაობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ნებისმიერ საყურადღებო ინფორმაციას, რომელსაც ღებულობს სკოლა სხვადასხვა არხებით, სოციალური ჩატი, მშობელთა კრება, მრჩეველთა საბჭო. განიხილება პედსაბჭოზე , კათედრებზე აკეთებენ ანალიზს და ითვალისწინებენ მუშაობის პროცესში.

4. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას აქვს "ფეისბუქ" გვერდი, ასევე ამოქმედებულია ვებ გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური გვერდი
- სკოლის ვებ გვერდი
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი ფინანსური რესურსი შემოიფარგლება მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსებით, სკოლას არ აქვს კანონმდებლობით ნებადართული დამატებითი ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. სკოლას სახელფასო და კომუნალური გადასახადების შემდგომ რჩება მცირე ბიუჯეტური შემოსავალი. ადგილზე ზეპირი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მიზნობრივად იყენებს მცირე ნაშთს, და ამასთან აქვს მზაობა მოიზიდოს დამატებითი შემოსავლები, კერძოდ გასცეს ფართები სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირებისათვის, ასევე გაიჯარების წესით გასცეს გარე და შიდა სპორტული მოედნები კანონმდებლობის დაცვის წესით. **2022 წლის 09 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N5 დანართი N38, დამტკიცებული 2023 წლის ბიუჯეტი - დანართი N37**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, ქმნის ყოველწლიურ ბიუჯეტს, აკეთებს ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს. ავსებს ბალანსის ფორმებს და წარუდგენს მაკონტროლებელ ორგანოს, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022 წლის 09 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N5 დანართი N38, დამტკიცებული 2023 წლის ბიუჯეტი - დანართი N37;
- 2022 წლის 09 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N5 დანართი N38, დამტკიცებული 2023 წლის ბიუჯეტი - დანართი N37
- სკოლის ბიუჯეტი
- ზეპირი ინტერვიუ

☒
☐
☐
☐

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით. შინაგანაწესიდან გამომდინარე, კლასებში შემუშავებულია ქცევის წესები. როგორც შინაგანაწესი, ისე ქცევის წესები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დასტურდება პედაგოგიური გუნდის გამოკითხვით, თვალსაჩინო მასალით. სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლეთა ქცევის წესების, გრიფირებულია სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაციის გაცნობა დასტურდება საკლასო და მშობელთა კრებების ოქმებით. აღნიშნული გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში შედგენილია სადამრიგებლო პროგრამები. სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, ერთად ადგენენ ქცევის წესებს, წესები და შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას მოსწავლესთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. იგი შეიცავს თარიღს, მონაცემებს, ვის შორის დგება ხელშეკრულება, რა უფლებები და პასუხისმგებლობა აკისრია მხარეებს. მასში ნათლადაა წარმოდგენილი

მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი., დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- ხელშეკრულება მშობელთან

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს კანონმდებლობით დადგენილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი. იგი ხელმძღვანელობს "ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით" და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04"ნ"(11/012017). სკოლა აკონტროლებს მოსწავლეთა გაცდენებს. 10/20/45 დღის გაცდენის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი მოიკვლევს მიზეზს და აღნიშნულის შესახებ წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. სკოლის დირექტორი, დამრიგებლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კანონის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის ჩეჩერების და შეწყვეტის წესს, რაც დასტურდება წარმოდგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მშობლებს სთავაზობს მეორე უცხო ენის არჩევანს, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმით. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში სრულად არ აქვს გაწერილი ესგ-ი გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი მომსახურების აღწერა, თუმცა ინფორმაცია საქმიანობის შესახებ განთავსებულია სკოლის სოციალურ სივრცეში და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია, ასევე აღნიშნულ ინფორმაციას სკოლაში მშობლებს აცნობენ დამრიგებელბი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია კანონის დაცვით არის გავრცელებული სკოლის პერსონალის მიერ, როგორც სკოლის სივრცეში, ისე სოციალურ გვერდზე. სკოლას არ აქვს ვებ გვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლაში ჩარიცხვის წესი

სასკოლო სასწავლო გეგმა
ზეპირი ინტერვიუ
ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, შემუშავებული დოკუმენტი დანერგილია სასკოლო ცხოვრებაში, კერძოდ, სკოლა კავშირს ამყარებს წინასწარ პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან საბავშვო ბაღის დახმარებით; იწვევს სკოლაში, აცნობს გარემოს, ატარებს მხატვრულ ღონისძიებებს. თუ სსსმ მოსწავლეა, აცნობს სპეციალურ მასწავლებელს, ათვალიერებინებს რესურს ოთახს, იქ განთავსებულ ინვენტარს, სამუშაო და მოსასვენებელ სივრცეს. სკოლას სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებულია მონიტორინგი. წარმოდგენილი აქვს მონიტორინგის მასალები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა კარგად არის აღჭურვილი ასაკის შესაბამისი ინვენტარით. სკოლის პირველი სართული ადაპტირებულია. აქვს პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი. პირველ სართულზე მდებარეობს რესურს ოთახი, სადაც გამოფენილია სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრები. გარემო მყუდრო და მოსახერხებელია. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური მასწავლებელი. ისინი თანამშრომლობენ, საგნის მასწავლებლებთან და ეხმარებიან მათ საჭიროებაზე მორგებული ინდივიდუალური გეგმების შედგენაში. კომუნიკაცია აქვთ სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან. სასკოლო საზოგადოებასთან ერთად, სპეციალური მასწავლებლები ზრუნავენ სსსმ მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლა, ზოგადად, დიდ სივრცეს უთმობს მოსწავლეთა ნაშრომების გამოფენას, რაც პოზიტიურ განწყობას ქმნის. სკოლას მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები გაწერილი აქვთ აქვს ახალ სასწავლო სასკოლო გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, ხელს უწყობს სასკოლო გარემოს კეთილმოწყობას, რათა თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს საჭიროებიდან გამომდინარე მხარდაჭერა. მათთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც

აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებით. სკოლას სჭირდება ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომლითაც დარეგულირდება არა საგაკვეთილო დროში კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის გრაფიკი. სკოლა ახორციელებს სსსმ მოსწავლეთა უნარების განვითარებას. ამ მიზნით, მოწყობილია რესურს ოთახი, რომელიც კარგად არის აღჭურვილი და ეძლევა საშუალება სსსმ მოსწავლეს, მიიღოს საჭირო მხარდაჭერა. სკოლის ინვენტარი იძლევა მოსწავლეთა მხარდაჭერის საშუალებას. სკოლის ბიბლიოთეკის სივრცე დამაკმაყოფილებელია, თუმცა წიგნადი ფონდი ღარიბია და საჭიროებს განახლებას. ასევე, ბიბლიოთეკარის მხრიდან მეტი აქტივობების დაგეგმვას.

მოსწავლეები საჭირო ინფორმაციას ღებულობენ კარიერული განვითარების მიმართულებით. ისინი ხვდებიან თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებს, აწყობენ შეხვედრებს სასამართლოში. სკოლას აქვს გამოფენილი ფოტომასალა პროფორიენტაციის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს მოსწავლეს კანონით დადგენილი დროის სრული დაცვით. კლასის, საფეხურის დაძლევის, ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გამოცემულია ვადების და კანონმდებლობის დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5 .სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლაში კანონის დაცვით არის არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა. დამტკიცებულია თვითმმართველობის დებულება. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. ახალგაზრდული ფესტივალის ფონდი დახმარებით, სკოლის მოსწავლეები ახალგაზრდული ფესტივალების გამარჯვებულები გახდნენ .მოსწავლეები მონაწილეობდნენ ქ. თბილისში პროექტში ტვინების ბრძოლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის დირექტორის განმარტებით, პროექტების დასრულების შემდეგ ახორციელებენ უკუკავშირს, როგორც ზეპირად, ისე სოციალური გვერდის მეშვეობით. მოსწავლეები საუბრობენ, რა მოეწონათ, რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ სამომავლოდ, რომელი კლუბის შექმნა სურთ. მოსწავლეთა ინიაციატივით სკოლის დერეფნებში გამოიფინა მათი ხელნაკეთი ნივთები, შეირჩა ზღაპრების პერსონაჟები და მოიხატა სკოლის დერეფნები, ჩატარდა მხიარული სტარტები . სკოლა სამომავლოდ გეგმავს

მოსწავლეთა ინიციატივების სისტემატურ განხილვას თვითმმართველობის მეშვეობით და პრიორიტეტების დადგენას ისევ მოსწავლეთა ჩართულობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერება
სასკოლო სასწავლო გეგმა
პროექტებში მონაწილეების ამსახველი სურათები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვას. პერიოდულად სკოლაში იწვევენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. სადამრიგებლო საათზე საუბრობენ სამომავლო პროფესიებზე. კონტაქტი აქვთ ახლომდებარე ორგანიზაციებთან. მოსწავლეები უშუალოდ ეცნობიან მათ საქმიანობას. აქტივობები გაწერილია სადამრიგებლო პროგრამებში. სკოლის სივრცეშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენას. მათ შორის მეორადი ნივთების

გამოყენებით შექმნილ საგნებს. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქვთ გარკვეული აქტივობები, მაგალითად შეხვედრები სხავადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, აწყობენ ღია კარის დღეს, მუნიციპალიტეტში იხსნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებში აწყობენ ექსკურსია /ვიზიტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა პროფესიული ორიენტაციის მიზნით ინფორმაციას ავრცელებს სოციალური გვერდის საშუალებით, ან საინფორმაციო დაფაზე განათავსებს ინფორმაციას ასეთი შეხვედრების შესახებ. სკოლის მიერ გატარებული საინფორმაციო პოლიტიკის შედეგად მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა გამოხატა სურვილი და ინტერესი კოლეჯში სწავლის გაგრძელების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მეტი თანამიმდევრულობით იმუშაოს პროფორიენტაციის თემაზე. ფიქრობს საჭიროა მეტი ინფორმაციის მიწოდებას საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2 კომპონენტის 4.2.1კრიტერიუმის 1. ინდიკატორის მტკიცებულებები - დანართი N26
4.2 კომპონენტის 4.2.1კრიტერიუმის 2. ინდიკატორის მტკიცებულებები -დანართი N92
4.2 კომპონენტის 4.2.1კრიტერიუმის 3. ინდიკატორის მტკიცებულებები - დანართი N27
4.2 კომპონენტის 4.2.1კრიტერიუმის 4. ინდიკატორის მტკიცებულებები - დანართი N28
4.2 კომპონენტის 4.2.1კრიტერიუმის 5. ინდიკატორის მტკიცებულებები - დანართი N34 N35

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ამ მიზნით დამტკიცებული ისგ ჯგუფი. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ჩასატარებელი აქტივობები, დრო და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2..სსსმ მოსწავლეთა აღზრდას სკოლაში ემსახურება 1 სპეციალური მასწავლებელი . სპეციალური მასწავლებელი შერჩეულია კონკურსის წესით. იგი თანამშრომლობს დანარჩენ მასწავლებლებთან , მშობლებთან და და ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას. ერთობლივად გეგმავენ ღონისძიებებს, რომლებშიც აქტიურად რთავენ სსსმ მოსწავლეებს. მათი ნაშრომები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, რესურს ოთახში და მიმდებარე დერეფანში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მტკიცებულება:

დანართები N48,49,51
ზეპირი ინტერვიუ
ვიზუალური დათვარიელება

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა არ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურება. დაგეგმილია იჯარით გაიცეს კვების ბლოკი. სკოლაში ხორციელდება ტრანსპორტით მომსახურების პროგრამა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა არ სთავაზობს .სკოლა არ სთავაზობს დამატებით არა საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა არ სთავაზობს .სკოლა არ სთავაზობს დამატებით არა საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
დაწყებითი საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მასწავლებლებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ სკოლა არ იყო ახალი სკოლის მოდელში ჩართული, მათ კურიკულუმის შედგენის გამოცდილება საავტორიზაციოდ განკუთვნილ ტრენინგზე მიიღეს. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ მათგან რჩევებსა და რეკომენდაციებს. მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრაზე, ასევე სხვა კათედრებთანაც თანამშრომლობენ. უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას და ერთობლივად აგებენ სასწავლო კურიკულუმს თითოეული საგნისთვის. მათ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მშობლებთანაც, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინტერესებისა

და შესაძლებლობების გასათვალისწინებლად. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან კომუნიკაცია ხდება ინდივიდუალური შეხვედრებით და მშობელთა კრებების გზით. მშობელს ყოველთვის აქვს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. კომპლექსური დავალების შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეების მოსაზრებებს

გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუსას ისაუბრეს მშობელთა ბარათებისა და კოლეგების უკუკავშირის მიზნობრიობის შესახებ. ასევე, განაცხადეს რომ მუდმივად ხდება სასწავლო პროცესის ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. დაწყებით საფეხურზე მაწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, განიხილავენ დადებითი და უარყოფითი შედეგების მიზეზებს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ჩანს რომ კურიკულუმებზე მუშაობის დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს და პრიორიტეტებს. რაც დასტურდება უშუალოდ კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში და ასევე კურიკულუმის ჩარჩოების შინაარსობრივ ნაწილში, რომლებშიც მოცემულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები. საკითხები დაყოფილია თემატურად. თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისკენ.

კურიკულმზე მუშაობის პროცესში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს წინა წლის გამოცდილებას, მოსწავლეთა შედეგებსა, ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს, არსებულ გამოწვევებს, მშობელთან შეხვედრებზე გამოვლენილ საჭიროებებს და ირჩევენ შესაბამის კომპლექსურ დავალებებსა და აქტივობებს.

მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება ასევე დასტურდება სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით ადაპტირებული კომპლექსური დავალებებითა და სხვადასხვა ტიპის აქტივობებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, კერძოდ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა ძირითადი თემატური ერთეული, თემის შესაბამისი საინტერესო კომპლექსური დავალებები, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების შესაბამისი მშობლის ბარათები. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურად ერთვებიან ამ პროცესში მშობლებიც. მათ აქვთ ხშირი კომუნიკაცია პედაგოგებთან. ერთობლივად განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რასაც მასწავლებლები ასახავენ კურიკულუმში - არჩევენ შესაბამის კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს და აქტივობებს, რაც ასევე დასტურდება სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. სკოლის დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ teams პლატფორმაზე სასკოლო ვირტუალურ სივრცეში თავმოყრილია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმები და სხვა მხარდამჭერი მასალა, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მასწავლებლისთვის. კურიკულუმების გაზიარება მშობლებთან ხდება მშობელთა კრებებზე. გარდა ამისა, სკოლაში აქვთ მშობლის ბარათების გამოყენების პრაქტიკა. ასევე აქტიურად იყენებენ სკოლაში განთავსებულ საინფორმაციო დაფებსაც.

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.: მაგ. საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. კურიკულუმები აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით.

აქვე უნდა აღინიშნოს, **რომ საგან ჩვენი საქართველოს კურიკულუმში დაშვებული იყო უმნიშვნელო შეცდომა სასწავლო თემების ჩამონათვალის თვალსაზრისით, რაც კათედრამ დამატებითი მტკიცებულებებით გამოასწორა და ხარისხის განვითარების ცენტრში გადმოაგზავნა.**

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები მიმართულია სამიზნე ცნებასა და საკითხზე, შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული, როგორ არის ამ უნარების განვითარება შესაძლებელი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად. განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების იდეები.

აღსანიშნავია, რომ დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერების წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები მუშავდება ნაწილობრივ, კომპლექსური დავალებებით. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, სრულად სამიზნე ცნებების დაფარვას გეგმავენ იმ საკითხებით, რომლებიც ამ ეტაპზე კურიკულუმში ასახული არ არის, რადგან კურუკულუმი დახვეწის პროცესშია. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია, მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მაგ.: საინფორმაციო ბუკლეტი მომზადება გურიის, როგორც საკურორტო ზონის მნიშვნელობის შესახებ, საჭიროა ყველა გლობალურ-ფუნქციურ უნარის გამოყენება.

ასევე მასწავლებელს მიეცა რჩევა გადაიხედოს **სახვითი და გამოყენებით ხელოვნების** დაწყებითი კლასის კურიკულუმები გასწორდეს თემატური ბლოკის დასახელებები

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. სასკოლო სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიური ორიენტირები განსაზღვრავს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გამოყენების პრინციპებს. აღიარებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალიზმი. სასწავლო პროცესი ეყრდნობა კონსტრუქტივისტული სწავლების მიდგომებს, სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება მისი პრინციპების გათვალისწინებით. გარემო განიხილება მოსწავლის მხარდამჭერ ორგანიზებულ სივრცედ, სადაც გათვალიწინებულია მისი შესაძლებლობები, საჭიროებები. სტრატეგიები ორიენტირებულია მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე , რაც მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

ასევე დაწყებით საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენების კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა-სასწავლო გარემო და სტრატეგიები იმ სახით არის ორგანიზებული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, სწავლის სტილით მოტივაციითა და პირადი ინტერესებით (შეთავაზებულია როგორც ფოტო და ვიდეო რესურსები ასევე მოსასმენი სავარჯიშოები).

სპორტის მიმართულებით იმ მოსწავლეებზე, რომელთაც განსაკუთრებული ნიჭის და უნარი აქვთ სპორტის რომელიმე სახეობის მიმართ და მათი ამ უნარების განვითარების მიზნით განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებზე თუ დამატებით სწავლებაზე სხვადასხვა წრეებსა თუ გუნდებში მოხვედრის მიზნით.

სკოლას აქვს დიდი ხნის გამოცდილება სსმ მოსწავლეებთან მუშაობის თვალსაზრისით. მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. სასკოლო სასწავლო გეგმით ითვალისწინებენ სსსმ მოსწავლეებთან მიმართებაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსმ მოსწავლისათვის დაწყებით საფეხურზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრებზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან და ასევე შეფასების სისტემებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიღწევების დონე და საფეხურის შედეგების ინდიკატორები.

სახელმწიფო ენაში, მათემატიკაში, ტექნოლოგიებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების ნიმუშები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრებზე იგეგმება დანარჩენი თემების და კლასებისთვის შეფასების ნიმუშებზე მუშაობა და შეფასება სრულად იწარმოებს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.

უნდა აღინიშნოს რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის მიმართულებით ერთი თემის მძლეოსნობის ფარგლებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც გამომდინარეობს საგნის სტანდარტიდან და საფეხურის ბოლოს

მისაღწევი შედეგებიდან კონკრეტულად ამ თემიდან გამომდინარე. თუმცა წარმოდგენილ განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში არ არის მითითებული რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რომელი კრიტერიუმი უნდა იყოს დაკმაყოფილებული. მასწავლებელმა შეხვედრისას ისაუბრა სასწავლო პროცესში გამოყენებულ განმავითარებელ შეფასებაზე, რომელსაც სიტყვიერად გასცემდა და განმსაზღვრელ შეფასებაზე, რომელიც ჩათვლის სახით გამოიყენებდა ელ. ჟურნალში. ასევე აღნიშნა, რომ კათედრასთან თანამშრომლობით მოხდება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

5 .კურიკულუმის დაგეგმვისას საგნობრივ ჯგუფები ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას და შედეგებს. კათედრის სხდომებზე ხდება შედეგების განხილვა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება. ასევე სპორტის მიმართულებით წინარე გამოცდილება ეფუძნება არა მარტო სასწავლო პროცესში მიღებულ, არამედ დამატებით მეცადინეობებზე და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისას მიღებულ გამოცდილებასა და შედეგებს. რაც შეეხება ანალიზს, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ახალი ფორმები, რომელიც მოიცავს შედეგების ანალიზის განხორციელებასაც, ჯერ არ არის დანერგილი სკოლაში, თუმცა პედაგოგები იცნობენ ოთხივე ინსტრუმენტს სადიაგნოსტიკო შეფასებისას და ახალი სასწავლო წლიდან ინტენსიურად გეგმავენ ერთ-ერთი (მოსწავლის თვითშეფასებაზე დაფუძნებული) ინსტრუმენტის გამოყენებას ამ მიზნით. ამ ეტაპზე კი, სასწავლო წლის დასაწყისში დაწყებით საფეხურზე (I—VI კლასები) მასწავლებლები ითვალისწინებენ კლასის მოსწავლეთა აკადემიურ დონეს, რესურსებზე ხელმისაწვდომობას და ისე გეგმავენ სასწავლო პროცესს კონსტრუქტივიზმის, მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას. სკოლას აქვს პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება, შესაბამისად პედაგოგები სასწავლო თუ სოციალური პროექტების დაგეგმვასაც ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით .

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- კათედრის გეგმები

- ისგ
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ხარისხის ჯგუფის დებულება
- სტრატეგიული გეგმა
- თვითშეფასების ფორმა
- კითხვარი მოსწავლეების

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეების მიხედვით მოსწავლეებს ეძლევა შესაძლებლობა, რომ აქტიურად იყვნენ ჩართული შემოქმედებით პროცესებში ამ მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სასკოლო პროექტებში, კერძოდ სკოლაში არსებობს სხვადასხვა წრეები მათ შორის ეკო კლუბი-"ბიო", მეწარმეობის კლუბი "ბწკალა", რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეების ინტერესი გააფართოვდეს და მათზე მორგებულ ისეთი სასკოლო ღონისძიებები დაიგეგმოს, სადაც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებიც აქტიურად იქნებიან ჩართულები.

აღსანიშნავია, რომ ლესას საჯარო სკოლა არ იყო ჩართული ზოგადი განათლების რეფორმის დაწყებისას ჩართული სკოლის სტატუსით, თუმცა ფიზიკის პედაგოგის ძალისხმევით საგნობრივ ჯგუფში მოხდა სიახლეების დეტალური გაცნობა, კოლეგათა შორის თანამშრომლობა და ეტაპობრივად დაიწყეს სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალებების განხორციელება, რაც მათი თქმით მათთვისაც და მოსწავლეებისთვისაც შემოქმედებითად საინტერესოს ხდიდა სასწავლო პროცესს. მაგალითად მე-4 და მე-6 კლასში კომპლექსური დავალება "წყლის ბრუნვა" და გლობალურ ეკოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული დავალება განხორციელდა; ასევე, მე-3 კლასში განხორციელებულია პროექტი "პულსი".

ასევე უნდა აღინიშნოს რომ, ესთეტიკის კათედრა ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს და პროექტებს, მაგალითად ინტეგრირებული ღონისძიებები "ახლი წელი ";"დედის დღე ";"26 მაისი ";"გიორგობის დღესასწაული ". ინტეგრირებული გაკვეთილი მესამე კლასში (ინტეგრირებული საგნები მუსიკა ხელოვნება ,ქართული ენა და ლიტერატურა) თემით „მოდიოდა ნინო მთებით". ინტეგრირებული გაკვეთილი მეორე კლასში (ინტეგრირებული საგნები მუსიკა, ხელოვნება, ბუნებისმეტყველება)თემით „წელიწადის დროები „,გარდა ამისა სკოლაში აწყობენ სხვადასხვა თემატიკით გაერთიანებულ გამოფენებს და ღონისძიებებს (მაგალითად საშემოდგომო გამოფენა, მეორე და მეოთხე კლასელი მოსწავლეების პერსონალური გამოფენები)რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. აქტივობების დადასტურებები წარმოდგენილია სკოლის ფეისბუკ გვერდზე ფოტო-ვიდეო მასალის სახით .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისეა გაწერილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. მასწავლებლები ცდილობენ პროცესი დაიწყონ მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსებით და მოსწავლის შეფასებისას გამოიყენონ ცხოვრებისეული კონტექსტის შესაბამისი კომპლექსური ტიპის დავალებები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვთ კომპლექსური დავალებები, საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას

ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე. პედაგოგები მიმართავენ სხვადასხვა მეთოდს, რაც ეხმარება მოსწავლეს იყოს აქტიური თანამონაწილე საკუთარი სწავლის პროცესის. აღნიშნული მოიცავს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, შეფასებას და მონიტორინგს, რაც იძლევა საშუალებას დადგინდეს , რამდენად ეფექტიანად სწავლობს მოსწავლე, რამდენად შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის გაცნობიერება და პრაქტიკულად გამოყენება. ამ პროცესს ხელს უწყობს პროექტები, სწორად გაწერილი კომპლექსური დავალებები. აღსანიშნავია რომ სპორტის მიმართულებით კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ისეთი აქტივობების შესრულება როგორიცაა სპორტის სახეობების ისტორიების მოძიება, დამუშავება, პრაქტიკული ელემენტების შესწავლა და შეძენილი ცოდნის გადმოტანა სკოლაში განხორციელებულ სპორტული ფესტივალსა თუ სპორტულ წრეებში ჩართულობისას, რაც თავის მხრივ მოსწავლეს შესაძლებლობას მიცემს დაინახოს თავისი ძლიერი და სუსტი მხარე, განსაზღვროს წარმატების თუ წარუმატებლობის მიზეზი, გააცნობიეროს პრობლემები და მოძებნოს მისი გადაჭრის გზა და საშუალებები.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს თავიანთი გამოცდილების შესახებ, სადაც აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, მოსწავლეების მიერ პროდუქტის პრეზენტაციისას დიდი ყურადღება ეთმობა სწავლის სტრატეგიების გაანალიზებას. ასევე მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ გააზრებული აქვთ ცოდნის სამივე კატეგორიის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში და თითოეულის არსი. კომპლექსური დავალებების ეტაპების /ნაბიჯების განხილვისას გასაუბრების დროს იკვეთება, რომ შეთავაზებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, თეორიული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული არაფორმალური განათლების აქტივობები. პედაგოგებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლისათვის უპირატესობას ცოდნის მესამე კატეგორიის ჩამოყალიბებას ანიჭებენ სასწავლო პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების (,,მე და საზოგადოება” და ,,ჩვენი საქართველო”) კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას, სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა ორივე საგანში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები იძლევა ნათელ სურათს, თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ,. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, აღნიშნულ ოპერაციებს მოსწავლე აწარმოებს პროექტების განხორციელებისას.

საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგი გეგმავს ინტეგრირებულ გაკვეთილებს, თუმცა აქ დასახვეწია შეფასების რუბრიკები, რომლებიც გაერთიანებულად უნდა იძლეოდეს სურათს ყველა საგნის ფარგლებში მისაღწევი/მიღწეული შედეგების შესახებ. პედაგოგებს აქვთ ამასთან დაკავშირებით მზაობა. **ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო გეგმა
- სტრატეგიული გეგმა
- პროექტი-ტოლერანტობა
- თვითშეფასების ფორმა,
- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალება მძლეოსნობაში
- გაკვეთილის გეგმები
- კომპლექსური დავალებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. დაწყებითი საფეხურზე შემუშავებულ საგნობრივ პროგრამებში საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმები, მეორე მხრივ მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოკვეთილი სწორი აქცენტები და სასწავლო პროცესის გააზრებული ხედვა.

აღსანიშნავია, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის კურიკულუმები შემუშავებულია ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შესაბამისად. კურიკულუმებში თემების შერჩევისას გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურა და მოსწავლეთა ინტერესი სპორტის სახეობების მიმართ. შუალედური მიზნები წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეის სახით და ითვალისწინებს სპორტული ფესტივალის, მოძრავი თამაშებისა თუ პროექტის განხორციელებას. შერჩეულ თემებში ხდება სამივე სამიზნე ცნების დამუშავება მოსწავლისთვის შეთავაზებულია სასწავლო თუ ინტერნეტ რესურსები, სახელმძღვანელოები, ლინკები, რომლებიც საგნობრივი საკითხების დამუშავებას უზრუნველყოფს და იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2.კათედრების მიერ შერჩეული საგნობრივი კონტექსტები სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები და მათ დასაფარად შერჩეული საკითხები/ ქვესაკითხები/ კომპელქსური დავალებები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ , აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას, რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მოსწავლეთა საჭიროებების საპასუხოდ დაგეგმილი ღონისძიებები, აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს, რომ მათ შეძლონ საკუთარი ემოციების, ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა; საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვა სასურველი მიზნების მისაღწევად. აღნიშნული აქცენტები უფრო ცხადი გახდა პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ. მაგალითად: სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მიმართულებით სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია, თუმცა პედაგოგი საკუთარი ძალისხმევით ცდილობს მოიძიოს რეაქტივები, რათა მოსწავლეებს აჩვენოს სხვდასხვა მარტივი ცდა და საინტერესოდ გადასცეს შესასწავლი საკითხი.

ასევე როგორც გადმოგზავნილი ფოტოებიდან ჩანს მოსწავლეები ამზადებენ ხელნაკეთ სათამაშოებს გირჩებისაგან და ქაღალდებისგან. ირკვევა, რომ მოსწავლეები დიდი ინტერესით და სიხარულით ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს, უყურებენ და სწავლობენ სათამაშოების, ხელნაკეთი მოსაწვევი ბარათების, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადების სპეციფიკას. , ასევე სკოლამ დოკუმენტაციის სახით გადმოაგზავნა სხვადასხვა ღონისძიებების ნუსხა- დაწყებით საფეხურზე განხორციელებული სხვა საინტერესო აქტივობები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ფორმალური და არაფორმალური აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ მოსწავლემ გამოხატოს თავისი ინტერესი, ისწავლოს აზრის კორექტულად გამოთქმა, ემპათია სხვისი მოსაზრების მიმართ, ეფექტური კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები III-IV და V კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში კი როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი. ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას, წარმოდგენილი აქვთ შეფასების რუბრიკების ნიმუშები და გეგმავენ პროცესში შექმნან შეფასების რუბრიკები ყველა თემის ფარგლებში.

სკოლას ასევე აქვს წარმოდგენილი პროექტის, პრეზენტაციის, რეფერატის შეფასების რუბრიკები, ასევე, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემები, სადაც ჩანს სათანადო კრიტერიუმები მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სპორტის მიმართულებით კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ერთი თემიდან ,,მძლეოსნობა“ გამომდინარე, სადაც კრიტერიუმი ითვალისწინებს

მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას რბენის, ხტომისა და ტყორცნის დროს, თუმცა შეფასების რუბრიკაში არ არის მითითებული, რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რომელი კრიტერიუმი უნდა დაკმაყოფილებული. მასწავლებელმა შეხვედრისას აღნიშნა, რომ შეფასების რუბრიკის შექმნისას ეს საკითხი მისთვის ოდნავ ბუნდოვანი იყო, თუმცა კათედრასთან თანამშრომლობით და ასევე გასაუბრებისას ეს საკითხი გარკვეულია და შეძლებს ისეთი შეფასების, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი რუბრიკების შემუშავებას შერჩეული თემებიდან გამომდინარე, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე მასწავლებლები აგრძელებენ მუშაობენ გასაზომი შედეგების შესაბამის ინსტრუმენტებზე. ინსტრუმენტების შერჩევის წინაპირობად მიჩნეულია კურიკულუმში არსებული შინაარსი და მისაღწევი შედეგები. გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების რუბრიკების შედგენისას პედაგოგები ეყრდნობიან საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, ამასთან, ითვალისწინებენ რა დიფერენცირებულ მიდგომებს, შესაბამისად უნდა ითქვას, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

5. დაწყებით საფეხურზე შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; სკოლას დაგეგმილი აქვს შეფასების ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებებით: • შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; • პროცესის ვერიფიკაცია; • მტკიცებულებების ვერიფიკაცია. მასწავლებლები გაეცნობიან მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურის მიხედვით შემუშავებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ასევე, იცნობენ, თუმცა ჯერ არ აქვთ დანერგილი ავტორიზაციის ფარგლებში სანიმუშო სახით მიწოდებული შეფასების ინსტრუმენტები. კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეებს აფასებენ სოლო ტაქსონომიით. პედაგოგები ახორციელებენ შემაჯამებლის ანალიზს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირების;

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

6.... კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმები
- კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმა
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი.

H

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო სასწავლო თუ სოციალურ პროექტებს, კომპლექსურ დავალებებს, დროულ უკუკავშირს საგაკვეთილო პროცესის დროს და დავალებების განხორციელების ეტაპებზე. სპორტული შეჯიბრებები არამარტო შიდა სასკოლო, არამედ რაიონის სხვა სკოლებს შორის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის- ეს ყველაფერი მეტყველებს სასწავლო პროცესში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს არსებობაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, ვინაიდან განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების განხილვისას კომპლექსური დავალებების ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფალნი არიან და მრავალფეროვანი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება ეძლევათ.

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო თუ სათემო პროექტები მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრმენეტებს, რათა დაინახონ თითოეული მოსწავლის პროგრესი. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმის და განვითარების დანახვის შესაძლებლობაზე, ზრუნვასა და მხარდაჭერეზეა აგებული.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის. სასკოლო კურიკულუმისა და ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავება ხდება ყველა მასწავლებლის აქტიური თანამშრომლობით. სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კარგად ჩანს თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კათედრა თანამშრომლობს ერთმანეთთან, ტარდება საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებები, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში. მაგალითად: სასკოლო ღონისძიება-ხეების დარგვა სკოლის ეზოში, ინფორმაციის შეგროვება და სკოლის გაზეთის "კომპოსტის" გამოშვება, ბუკლეტების დამზადება და მოსახლეობაში დარიგება და მრავალი სხვა აქტივობები და სასკოლო პროექტები, სადაც გარდა მოსწავლეებისა მასწავლებლებიც იღებენ აქტიურ მონაწილეობას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროექტები
- კომპლექსური დავალებები
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სადამრიგებლო პროგრამები;

DFF

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მონიტორინგის და რევიზიის ინსტრუმენტები. მონიტორინგის ფარგლებში მოხდება მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი და დაგეგმილი აქტივობების შედეგის შეფასება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგის გაანალიზება და რეკომენდაციები დაეხმარება მათ ახალი კურიკულუმების შემუშავების პროცესში და შედეგების გაუმჯობესებაში.

ამ ეტაპზე დაწყებით საფეხურზე სკოლაში კათედრის თავმჯდომარეებისა და დირექციის მიერ გარკვეულწილად ხორციელდება სასწავლო წლის მანძილზე სამოქმედო გეგმების, კურიკულუმის განხორციელებაზე, შემაჯამებელი დავალებების შეფასების ანალიზზე, ინტეგრირებული თუ სამოდელო გაკვეთილების ჩატარებაზე მონიტორინგი. დასახვეწია აქამდე არსებული მონიტორინგის ინსტრუმენტები. პედაგოგები იცნობენ წინა საავტორიზაციო შეხვედრების დროს გაზიარებულ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს და მისი გამოყენებით მოხდება ესგ-ს დანერგვის მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

მასწავლებლებმა გასაუბრებისას ასევე აღნიშნეს, რომ სკოლაში აქვთ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის საშუალებითაც ხდება უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და მეთოდური რჩევების მიცემა. მასწავლებლისა და დამკვირვებლის რეფლექსიის საფუძველზე, ანალიზდება ძლიერი და სუსტი მხარეები, ეძლევათ სიტყვიერი უკუკავშირი, სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისა და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნისათვის. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. გასაუბრებისას ცხადი იყო, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი ხედვა მონიტორინგისა და შეფასების როლზე სასწავლო პროცესში. სკოლა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოავლენს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოკვეთს ხელისშემშლელ ფაქტორებს, დაისახება გეგმა პრობლემების წარმატებით გადასაჭრელად . სკოლას აქვს მზაობა, ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა, დასახოს სამოქმედო გეგმა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას, გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას. დაწყებითი კლასების პედაგოგები პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ შეიმუშაონ კონკრეტული ნაბიჯები მომდევნო სასწავლო წლისთვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

EH

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების მასწავლებლები კლასების მიხედვით წინასწარ ეცნობიან მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურაში არსებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა იციან თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან. კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეები ფასდება სოლო ტაქსონომიით; შეფასება ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად. პედაგოგები იცნობენ შეფასების ახალ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებასაც გეგმავენ 2023-2024 სასწავლო წელს. უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის თვითშეფასების ინსტრუმენტს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. შეფასება ხორციელდება ძირითადად შემაჯამებელი დავალებების, კომპლექსური დავალებების, საკლასო აქტივობებში ჩართულობის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების მიხედვით. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, დიაგნოსტიკურ ტესტს. ამასთანავე, შეფასებისთვის დაკვირვება ხდება როგორც კლასში, ასევე ეზოში, სათამაშო სივრცეში, არაფორმალურ გარემოში. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას კიდევ უფრო დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. შეფასების მიზნიდან და საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, მასწავლებელი, დირექცია, სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირები არჩევენ შესაბამის მეთოდებს და სტრატეგიებს. ინფორმაციის შეგროვება ხდება: გამოკითხვის, ინტერვიუს, დაკვირვებისა და სხვა შესაბამისი მეთოდების მეშვეობით. მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4.სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას , გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სოლო--ტაქსონომია
- შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები
- გასასვლელი/შესასვლელი ბილეთები.
  E

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა საჭიროების კვლევა, კერძოდ მასწავლებლის თვითშეფასების ინსტრუმენტი, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა, რაც საშუალებას მისცემს სკოლას, შეიმუშავოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ დაწყებით საფეხურზე იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის სტრუქტურის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმს, როგორ გაუწევს მონიტორინგს კურიკულუმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, მოსწავლეების მიერ მის გააზრებასა და განხორციელებას, ასევე მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივ მუშაობას სხვადასხვა აქტივობებზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები.
ამ ეტაპისთვის შექმნილია კურიკულუმის მცირედ გადამუშავებული ვერსია, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალი, 2023-2024 სასწავლო წლიდან ამოქმედებას დაიწყებს ესგ-ს დანერგვის ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი(მოსწავლის თვითშეფასების), რომლის შედეგები გახდება სამომავლოდ კურიკულუმის რევიზიის საფუძველი. პედაგოგებთან გასაუბრებამ ცხადყო ამ მიმართულებით მათი მზაობა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეული ესგ-ს დანერგვის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საბაზო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, თუმცა მათ ეს გამოცდილება საავტორიზაციოდ განკუთვნილ ტრენინგზე მიიღეს და შესაბამისად შექმნეს სასწავლო კურიკულუმები (საბაზო). ასევე მასწავლებლებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებებზე, გაკვეთილზე დამატებით გამოყენებულ რესურსებზე. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე კი ააგეს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი. **სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და მშობლების მოთხოვნები, მოტივაცია თანხვედრაშია სასწავლო მიზნებთან; მასწავლებლებთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას სკოლა ითვალისინებს წინა წლის გამოცდილებას. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე იგება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი. სკოლა **აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში თვალსაჩინოა დადებითი კუთხით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ნათლად ჩანს თუ რა სახით ერთვება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია კათედრის უკლებლივ ყველა პედაგოგი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შექმნა. სკოლა **აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია სსგ-ისა და კურიკულუმების შესახებ.** კურიკულუმი გაზიარებული აქვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს. მასწავლებლები კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილავენ, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს. მშობლებს წლის განმავლობაში ჩატარებულ მშობელთა კრებებზე აცნობენ საგნის კურიკულუმს, სკოლა **აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები
- სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუ
- პროექტები
- კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ფაქტები

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმიმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია ის მოცემულობები, რაც მიემართება ესგ-ის მიერ განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**

3.სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**

4.კათედრებმა წარმოადგინა რელევანტური შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს ინდიკატორს.**

5.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრები ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 1. სასკოლო გეგმა
- დანართი 15. ხარისხის ჯგუფის დებულება
- დანართი 25. შემაჯამებელები
- დანართი 9. სტრატეგიული გეგმა
- თვითშეფასების ფორმა
- შეფასების რუბრიკები
- დანართი 49. ინდ.გეგმები 1
- დანართი 43. კითხვარი მოსწავლეების
- დანართი 26. პროექტი-ტოლერანტობა
- სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით
- საბაზო საფეხური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები
- **საგნობრივი კურიკულუმები ხელოვნება/მუსიკა**
- **განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელოვნება/მუსიკა**
- პროექტი „ბაღის შავი ოქრო''-კომპოსტირება
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, პროექტებით, არაფორმალური განათლებისთვის დამახასიათებელი აქტივობებით.

სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი: სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, არ იკვეთება რესურსები ცდების/ექსპერიმენტების/დაკვირვებების საწარმოებლად. შესაბამისად, ეს ფაქტი გარკვეულწილად აფერხებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის ეფექტურობას საბუნებისმეტყველო მეცნიერებე-ბის საგნობრივ ჯგუფში საბაზო საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი), სკოლას გაგზავნილი აქვს შესაბამისი წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოში, ზრუნავს სახსრების მობილიზაციაზე ლაბორატორიის მოწყობის მიზნით, მონაწილეობს საგრანტო კონკურსში.

ინდიკატორი შეფასდა როგროც მეტწილად შესაბამისი

2.ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მასწავლებლები ცდილობენ, რომ სწავლების პროცესი გახადონ კონსტრუქტივისტული და წინარე ცოდნის მიზნობრივი გააქტიურება მათი პრაქტიკის ნაწილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კათედრების წევრები აცხადებენ, რომ მოსწავლეებისთვის მეტაკოგნიტური უნარების განვითარება აუცილებელია, რათა ჰქონდეთ მუდმივი მზაობა სიახლეების მისაღებად და იყონ კონკურენტუნარიანი მოქალაქეები. კათედრები ორიენტირებულია იმაზე, რომ მოსწავლეებმა თვითრეგულირებითა და ავტონომიურობით მეტი შეძლონ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.რადგან სკოლას აქვს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს ცოდნის სამივე სახეზე ხდება აპელირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება აქტიურდება. მასწავლებლები აცხადებენ, რომ ასეთი ტიპის დავალებების ეფექტიანობა დიდია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 1. სასკოლო გეგმა
- დანართი 9. სტრატეგიული გეგმა
- დანართი 26. პროექტი-ტოლერანტობა
- თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმის ჩარჩოები
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა/რეფლექსია ფიზიკა-ბიოლოგიაში; კომპლექსური დავალებების ანალიზის ფორმა.
- ინტერვიუ

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კომპლექსურ დავალებების შესრულება და პროცესზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლეს სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების თანდათანობით ჩამოყალიბებაში უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კათედრებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება ხდება სხვადასხვა აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების შესრულების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში იგეგმება შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების ტექნიკის ფლობით კათედრებმა დაადასტურა, რომ კათედრების წევრებს გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია. **Ინდიკა**

ტორი დაკმაყოფილებულია.

5.ჩატარებული აქტივობების, კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების, შეფასებების ანალიზის განხორციელება კათედრების სხდომებზე იძლევა იმის საფუძველს, რომ სამომავლოდ სკოლა დიფერენცირებულად შეხედავს მოსწავლისა და სკოლის მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით მატერიალური სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

……

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსური დავალებები, კურიკულუმის ჩარჩოები
- შეფასების რუბრიკები
- მიმდინარე და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ინტერვიუ

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებასა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება). აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სამოქმედო გეგმის შექმნაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება, რომელიც მუშაობს ერთობლივად, ხდება თანამშრომლობითი უნარების განვითარება. მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ღონისძიებებსა და სასწავლო კონკურსებში. სამომავლოდ იგეგმება სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენაში მოსწავლეების ჩართვა და მათი მოსაზრებების გაზიარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში არსებობს მიმღებლობის მაღალი დონე, გამოცდილების გაზიარების ტრადიცია, ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები და ხდება გაკვეთილზე დასწრება პრაქტიკის გაზიარების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, ჯანსაღი გარემო. იგეგმება სხვადასხვა ტიპის აქტივობები ამ მიმართულების გასაძლიერებლად, რომელიც მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და ძირითადი მორალური ფასეულობების დამკვიდრებას ისახავს მიზნად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები
- კრიტიკული მეგობრის ინსტიტუცია
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება, რაც შეეხება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიით შეფასებას, სკოლა აღნიშნავს, რომ მიმდინარე სასწავლო წლიდან მოხდება ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად მუშაობა შეფასებასა და მონიტორინგზე. მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა აქტიურად მიმდინარეობს , ასევე მასწავლებელთა სწავლების ხარისხზე დაკვირვება და ამ ხარისხის გამოუჯობესების რეკომენდაციების გაცემა, ტრენინგებში ჩართვა და საჭიროებებიდან გამომდინარე კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სასწავლო პროცესის შეფასება მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით მიმდინარეობს (კომპლექსური დავალებები, პრეზენტაციები, საკლასო და საშინაო დავალებები, ჯგუფური, ინდივიდუალური და წყვილებში მუშაობა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი ცნებებისა და სამიზნე ცნებების, კოგნიტური უნარების განვითარების სქემები) და ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით კლასებში 2023-2024 წელს აპირებენ გააუმჯობესონ და პრაქტიკაში დანერგონ სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის მიხედვითაც მოხდება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებების დადგენა.გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების პროცესში

მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭრიოება, ხოლო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Fვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი
- Eსხვადასხვა ტრენინგის მოსმენა (მენტორინგის ქვეშ ყოფნა)
- Eსადიაგნოსტიკო საქმიანობა (საგნობრივად)
- Eინტერვიუ

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა გეგმავს წინა წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს. ახალ სასწავლო წელს მოხდება აღნიშნული საკითხის დოკუმენტურად გაწერა კათედრების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კათედრები ეყრდნობიან საგნობრივ კონტექსტებს (თემებს) და მასზე დაშენებულია სასწავლო ერთეულები და პროცესები. თემების/ქვეთემების გამოკვეთა ხდება ესგ-ისა და ადგილობრივი თემის მოთხოვნების/ინტერესების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კათედრებს აქვთ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: რაოდენობრივი (ზეპირი და წერილობითი გამოკითხვა), თვისებრივი (დიალოგი, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების დროს გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიმდინარე და შემაჯამებელი სამუშაოების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრები გეგმავენ კურიკულუმის გადასინჯვასა და რევიზიის საფუძველზე უკეთესი ვერსიის შექმნას, რომელიც უფრო ეფექტიანი იქნება სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კათედრების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მოდიფიცირებული კურიკულუმში ასახული იქნება წინარე გამოცდილება და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან
- კომპლექსური დავალებების ადაპტირება/მოდიფიცირებისათვის მონაცემების შეგროვება
- დიაგნოსტირება შეთანხმებული ინსტრუმენტით

შეფასება:

○
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საშუალო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმზე მუშაობის მცირე გამოცდილების მიუხედავად, სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მასწავლებლები კათედრის წევრებთან ერთად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს. სემესტრში ორჯერ კათედრებზე მოხდება კურიკულუმების ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა, მასში ცვლილებების შეტანა. სკოლაში განხორციელდება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული პროექტები, იგეგმება კურიკულუმების დახვეწა. აღნიშნული ნარატივი პედაგოგებმა გასაუბრებისას დაადასტურეს. მათ აღნიშნეს კათედრის ფუნქციების შესახებ, მათ შორის ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და სხვ, რაც აღნიშნულია სასკოლო გეგმაში, ხოლო მშობელთა ჩართულობას ადასტურებს დანართი: მშობლებთან ურთიერთობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები საშუალებას იძლევა წარმოდგენა შეგვექმნას სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობასა და ჩართულობაზე სწავლა-სწავლების დაგეგმვის პროცესში მათი ინტერესების გასათვალისწინებლად, კერძოდ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, მათი იდეები კათედრებზე შეთანხმებულად შეირჩა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით, მათ ნარატივს

ადასტურებს სკოლის მიერ წაარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ დანართი- კათედრების დებულება, სადაც ხაზგასმულია კათედრის ფუნქციების შესახებ. მშობელთა ინტერესების გათვალისწინების დასდასტურებლად სკოლამ წარმოადგინა დანართები-მშობლებთან ურთიერთობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლას აქვს მცირე, მაგრამ კარგი გამოცდილება პროექტული და არაფორმალური განათლების კუთხით, მასწავლებლების მიერ კომპლექსური დავალების იდეები და რაოდენობა შეთანხმებულად შეირჩა, მათ გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც დასტურდება კათედრების წევრებთან გასაუბრებით, მათ ნარატივს ადასტურებს სკოლის მიერ წაარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ დანართები: სტრატეგიული გეგმა, თვითშეფასების ფორმა, მშობლებთან ურთიერთობა, დამრიგებლის დებულება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები აღიქმება, როგორც კათედრების თითოეული წევრის სასკოლო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. მათთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, რაც დაფუძნებულია იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მასწავლებლებს აქვთ კურიკულუმის შემუშავება-დანერგვის პროცესთან მიმართებაში (teams-ის პლატფორმაზე სასკოლო ვირტუალურ სივრცეში კურიკულუმების თუ სხვადასხვა რესურსის თავმოყრა განაპირობებს მათ ხელმისაწვდომობას), მათ შორის სადამრიგებლო საათის თუ მშობელთა კრების სახით მოსწავლეებთან და მშობლებთან გაზიარება-თანამშრომლობის თვალსაზრისით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. სასკოლო გეგმა

დანართი 25. შემაჯამებელები

დანართი 15. ხარისხის ჯგუფის დებულება

დანართი 19. მშობლებთან ურთიერთობა

დანართი 18. დამრიგებლის დებულება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმიმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმის ამჟამინდელი ჩარჩო წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე , შუალედურ მიზნებსა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.1.- დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში, რომელიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მართალია, ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობის კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა

გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული უცხოური ენის საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ საფუძველზე იკვეთება სკოლის მზაობა სწავლის პროცესი განხილულ იქნეს როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს, ის სწავლა-სწავლების აქტიური სუბიექტია. საშუალო საფეხურზე უცხოურ ენებში წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ცნებების საშუალებით კი გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რითაც დასტურდება, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს პროექტის ჩარჩოები წარმოდგენილი აქვს როგორც ხელოვნებაში ასევე მუსიკაში . კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროექტის მიზანი და შინაარსი ორიენტირებულია მოსწავლის ცხოვრებისეულ კონტექტებსა და პირად გამოცდილებაზე, პროექტის ფარგლებში დაგეგიმილია მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

სახელმწიფო ენა - კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**

მათემატიკა - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შერჩეული კომპლექსური დავალებები არის თემის და კლასის, მოსწავლის ასაკის შესაბამისად შერჩეული. ამ კომპლექსურებზე მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს სწავლების პროცესი ისე წარმართოს, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლის განვითარებას.

სპორტი - ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული და განვითარების პროცესი. კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო

გეგმის სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს საგნის გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს, შუალედური მიზნებს. კურიკულუმები აგებულია კომპლექსური დავალებების გათვალისწინებით, რომელიც საგნიდან გამომდინარე ძირითად შემთხვევაში გარდა პროექტული სწავლებისა ითვალისწინებს ფესტივალის ჩატარებას, რომელიც აგებულია კონტრუქტივისტული პრინციპით. კათედრამ წარმოადგინა განსახორციელებელი კომპლექსური დავალება მძლეოსნობაში დაწყებით საფეხურზე, რომლის ანალოგ კომპლექსურ დავალებაზე ისაუბრა საგნის მასწავლებელმა ეტაპების მიხედვით, რომელიც მოსწავლის , როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ცოდნის შეძენას გულისხმობს. მასწავლებელმა ასევე აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალება დღემდე არ განუხორციელებია, თუმცა სპორტული ღონისძიების, როგორც სასკოლო ასევე სკოლის გარეთ ჩატარებულა მოსწავლეთა დიდი ჩართულობით. კურიკულუმებიდან გამომდინარე წარმოდგენილი თემების ფარგლებში ჩატარდება სასკოლო ფესტივალი, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის განვითარებაზე. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები მიმართულია სამიზნე ცნებასა და საკითხზე, შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული, როგორ არის ამ უნარების განვითარება შესაძლებელი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად. განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების იდეები. ასევე, გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება სასწავლო/სოციალური პროექტები: „ენდემური ჩიყვი“ ; აწარმოეს კვლევა-რა კავშირია დაავადების გავრცელების სიხშირის მატებასა და ჩერნობილის აფეთქებას შორის; მე-10 კლ. პროექტი „მინერალური წყლები“. **ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერების კურიკულუმი **(X კლასი)** მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მუშავდება ყველა თემა, თემის ფარგლებში -სამიზნე ცნებები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები მუშავდება ნაწილობრივ, კომპლექსური დავალებებით. მასწავლებლელთა აღნიშვნით, სრულად სამიზნე ცნებების დაფარვას გეგმავენ იმ საკითხებით, რომლებიც ამ ეტაპზე კურიკულუმში ასახული არ არის, რადგან კურუკულუმი დახვეწის პროცესშია. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია, მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მაგ. საკითხი: **ქართლი-რომის მეგობარი და მოკავშირე - კომპლექსური დავალების იდეა: ტექსტის შემუშავება, რითაც შევძლებთ**

ფარსმან ქველის დარწმუნებას, რომ დაამყაროს რომთან ურთიერთობა დავალების შესასულებლად საჭიროა ყველა გლობალურ-ფუნქციური უნარის გამოყენება. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენის კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს როგორ შეიძლება სამიზნე ნიშნულამდე მისვლა, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის, კერძოდ, საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები, რომელთა განხორციელება მოსწავლეებს დაეხმარება ემოციური ინტელექტის გაღრმავებაში, მეტყველების, კომუნიკაციის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წელს განსახორციელებელი პროექტები მუსიკასა და ხელოვნებაში . სკოლასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს განსახორციელებელ პროექტზე, მათი მსჯელობიდან გამოიკვეთა ის, რომ აღნიშნული პროექტები ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიერ სამიზნე ცნებების გააზრებას, ფუნქციური უნარებს გამომუშავებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია ის მოცემულობები, რაც მიემართება ესგ-ის მიერ განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**

მათემატიკა - საშუალო საფეხურზე კათედრას წარმოდგენილი აქვს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების ნიმუშები, სადაც წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში შერჩეული კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (ცნება, კონტექტს- მაგალითი, კომპლექსური დავალება,) მიხედვით.
კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქცენტს აკეთებენ საგნის სწავლების პროცესში მოსწავლისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებასა და ჩამოყალიბებაზე, რაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ასევე აღნიშნეს, რომ მუდმივად აგრძელებენ მუშაობას კურიკულუმების დახვეწაზე.

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში ნათლად იკვეთება გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებების, საკითხთა კლასტერის, კონტექსტ მაგალითების, კომპლექსური დავალების და მასში გამოყენებული რესურსების ფარგლებში

განხორციელებული აქტივობები, რომელიც მოსწავლისგან პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას, კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი, შემოქმედებითი უნარების განვითარებას მოითხოვს. მასწავლებელმა შეხვედრისას ისაუბრა სკოლაში თუ სკოლის გარეთ განხორციელებულ სპორტულ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებზე, რომლებშიც მაღალია მოსწავლეთა აქტიურობა. სადაც მოსწავლეები ეცნობიან და ითვალისწინებენ გუნდური თამაშის პრინციპებს, ეჩვევიან თანამშრომლობას, ემოციების მართვას, საკუთარი აზრის დამოუკიდებლად გამოხატვას, შემოქმედებითობას, პრობლემის აღმოჩენასა და მისის გადაჭრის გზების მოძიებას. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები კიდევ მეტად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარების განვითარებას. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიური ორიენტირები განსაზღვრავს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გამოყენების პრინციპებს. აღიარებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალიზმი. სასწავლო პროცესი ეყრდნობა კონსტრუქტივისტული სწავლების მიდგომებს, სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება მისი პრინციპების გათვალისწინებით. გარემო განიხილება მოსწავლის მხარდამჭერ ორგანიზებულ სივრცედ, სადაც გათვალიწინებულია მისი შესაძლებლობები, საჭიროებები. სტრატეგიები ორიენტირებულია მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე , რაც მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენების კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა-სასწავლო გარემო და სტრატეგიები იმ სახით არის ორგანიზებული, რომ

გათვალისწინებულია მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, სწავლის სტილით მოტივაციითა და პირადი ინტერესებით (შეთავაზებულია როგორც ფოტო და ვიდეო რესურსები ასევე მოსასმენი სავარჯიშოები), ისგ ნიმუში. მასწავლებელებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მოხდება მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად დავალების პირობის ადაპტირება ან დავალებების მორგება მოსწავლეებზე მათი მზაობის მიხედვით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულო პროექტის სახით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს დაგეგმილი აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული ინდივიდუალური და დიფერენცირებული დავალებები. შესაბამისად, დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორტან მიმართების მასწავლებლებთან გასაუბრებისა და მოცემული მასალის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში გამოიყენონ დიფერენცირებული /ინკლუზიური მოდგომები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

სახელმწიფო ენა - სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**

მათემატიკა - წარმოდგენილი მასალებში ჩანს, რომ სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა და სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილი ისგ.. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები, ასევე საჭიროების შემთხვევაში ქმნიან კომპლექსურების ადაპტირებულ ვერსიებს. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

სპორტი - კათედრის მიერ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით ერთი თემის მძლეოსნობის ფარგლებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც გამომდინარეობს საგნის სტანდარტიდან და საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგებიდან კონკრეტულად ამ თემიდან გამომდინარე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში არ არის მითითებული რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რომელი კრიტერიუმი უნდა იყოს დაკმაყოფილებული. მასწავლებელმა შეხვედრისას ისაუბრა სასწავლო პროცესში გამოყენებულ განმავითარებელ შეფასებაზე, რომელსაც სიტყვიერად გასცემდა და განმსაზღვრელ შეფასებაზე, რომელიც ჩათვლის სახით გამოიყენებდა ელ. ჟურნალში. ასევე აღნიშნა, რომ კათედრასთან თანამშრომლობით მოხდება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი

შეფასების რუბრიკების შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. კრიტერიუმები ისეა გაწერილი, რომ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი; აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. **ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - .საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები(მხოლოდ ერთი ეგზემპლარი), ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებულ უცხოური ენების კურიკულუმებში შეფასება იწარმოებს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით, შეფასება გააკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებელთა მიერ დამატებით გამოგზავნილ დოკუმენტაციაში არსებული შეფასების სქემები სწორედ ამის დასტურია. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - შესწავლილ დოკუმენტებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მას გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. აქვთ როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების გამოცდილება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

სახელმწიფო ენა - კათედრამ წარმოადგინა რელევანტური შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს ინდიკატორს.**

მათემატიკა - საშუალო საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილია მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკებში მკაფიო კავშირში არის სტანდარტის თემატური ერთეულის ფარგლებში შექმნილ ინდიკატორებთან, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლის მიღწევები გაიზომოს სტანდარტის შედეგების ფლობის მიხედვით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა მუშაობას აგრძელებს ასეთი რუბრიკების შექმნასა და არსებულის კიდევ უფრო დახვეწაზე.

სპორტი - კათედრის მიერ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით ერთი თემის მძლეოსნობის ფარგლებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც გამომდინარეობს საგნის სტანდარტიდან და საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგებიდან კონკრეტულად ამ თემიდან გამომდინარე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში არ არის მითითებული რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რომელი კრიტერიუმი უნდა იყოს დაკმაყოფილებული. მასწავლებელმა შეხვედრისას ისაუბრა სასწავლო პროცესში გამოყენებულ განმავითარებელ შეფასებაზე, რომელსაც სიტყვიერად გასცემდა და განმსაზღვრელ შეფასებაზე, რომელიც ჩათვლის სახით გამოიყენებდა ელ. ჟურნალში. ასევე აღნიშნა, რომ კათედრასთან თანამშრომლობით მოხდება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის დაგეგმვისას საგნობრივ ჯგუფში შემავალი თითოეული მასწავლებელი მეტნაკლებად ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას და შედეგებს. რაც შეეხება ანალიზს, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ახალი ფორმები , რომელიც მოიცავს შედეგების ანალიზის განხორციელებასაც, ჯერ არ არის დანერგილი სკოლაში, თუმცა პედაგოგები იცნობენ ოთხივე ინსტრუმენტს სადიაგნოსტიკო შეფასებისას და ახალი სასწავლო წლიდან ინტენსიურად გეგმავენ ერთ-ერთი (მოსწავლის თვითშეფასებაზე დაფუძნებული) ინსტრუმენტის გამოყენებას ამ მიზნით. ამ ეტაპზე კი, სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კლასის მოსწავლეთა აკადემიურ დონე, რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ისე დაგეგმეს სასწავლო პროცესი კონსტრუქტივიზმის, მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. Зინაიდან სკოლაში მწირია ლაბორატორიის რესურსები, ფიზიკის პედაგოგი აღნიშნავს, რომ იყენებს ვირტუალურ ლაბორატორიას და შესაბამისად ისეთ აქტივობებს გეგმავს, რომელიც მეტად აძლევს ამის გამოყენების შესაძლებლობას. Ასევე, წინა წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ყოველთვის შეიტანს კლასში განსახორციელებლად კომპლ.დავალებას "კატაპულტი","ჩაფხუტი", ვინაიდან უდიდეს ინტერესს იწვევს ყველა მოსწავლეში. სკოლას აქვს პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება, შესაბამისად პედაგოგები სასწავლო თუ სოციალური პროექტების დაგეგმვასაც ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით . **ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და შემაჯამებლების ანალიზით ჩანს, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე ცოდნის გამოცდილებას. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი იზიარებენ წინარე გამოცდილების ანალიზის მნიშვნელობას, დააკვირდებიან მოსწავლეთა მიღწეულ შედეგებს და ისე დაგეგმავენ სასწავლო პროცესს. კათედრის სხდომებზე მოხდება მონიტორინგის შედეგების გაანალიზება და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილი პროექტები. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ის აქტიურად აკვირდება მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის წინა წლების კურიკულუმები, თუმცა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე და ასევე პედაგოგთან ჩატარებულ ინტერვიუზე დაყრდნობით დადგინდა, რომ სკოლა ითვალისწინებს წინარე წლების გამოცდილებას. როგორც პედაგოგები აღნიშნავენ, მიმდინარე სასწავლო წელს იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარება და მიღებული შედეგების ასახვა კურიკულუმში.

სპორტი - კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღოდა მიმდინარე წელს განვლილი პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებებით. მოსწავლის ინტერესი სპორტის სახეობების მიმართ, მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, სპორტულ ღონისძიებებში მიღწეული შედეგები. წინარე გამოცდილებაზე ისაუბრა მასწავლებელმა შეხვედრისას, რომელიც ეფუძნება არა მარტო სასწავლო პროცესში მიღებულ, არამედ დამატებით მეცადინეობებზე მიღებულ შედეგების ანალიზს, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისას მიღებულ გამოცდილებას. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 11 კლასი -პროექტი მუსიკაში
- 10 კლასი -კურიკულუმის ჩარჩო ხელოვნებაში
- მე-11 კლასის პროექტული სწავლების შეფასება
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში
- კურიკულუმის ჩარჩოები
- სასკოლო სასწავლო გეგმა, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი, კათედრის გეგმები, ისგ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ნაშრომები.
- ინტერვიუ

უცხოური ენები

- დანართი 1. სასკოლო გეგმა
- დანართი 15. ხარისხის ჯგუფის დებულება
- დანართი 25. შემაჯამებელები
- დანართი 9. სტრატეგიული გეგმა
- თვითშეფასების ფორმა
- შეფასების-რუბრიკები
- დანართი 49. ინდ.გეგმები 1
- დანართი 43. კითხვარი მოსწავლეების
- დანართი 26. პროექტი-ტოლერანტობა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - პედაგოგებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; აღსანიშნავია, რომ ლესას საჯარო სკოლა არ იყო ჩართული ზოგადი განათლების რეფორმის დაწყებისას ჩართული სკოლის სტატუსით, თუმცა ფიზიკის პედაგოგის ძალისხმევით საგნობრივ ჯგუფში მოხდა სიახლეების დეტალური გაცნობა, კოლეგათა შორის თანამშრომლობა და ეტაპობრივად დაიწყეს სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალებების განხორციელება, რაც მათი თქმით მათთვისაც და მოსწავლეებისთვისაც შემოქმედებითად საინტერესოს ხდიდა სასწავლო პროცესს. საბაზო-საშუალო საფეხურის ბაზაზე ფუნქციონირებს ეკოკლუბი "ბიო". მეწარმეობის კლუბი ; ყოველწლიურად ხორცილდება " კიურის ლაბორატორია სკოლებში", ტარდება ცდები ბათუმის უნივერსიტეტის ბაზაზე, ეწყობა ქიმიური შოუ, ხდება ცდების ჩვენება) .

ადგილზე ვიზიტის დროს გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, არ იკვეთება რესურსები ცდების/ექსპერიმენტების/დაკვირვებების საწარმოებლად. შესაბამისად, ეს ფაქტი გარკვეულწილად აფერხებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის ეფექტურობას საბუნებისმეტყველო მეცნიერებე-ბის საგნობრივ ჯგუფში საბაზო საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი), სკოლას გაგზავნილი აქვს შესაბამისი წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოში, ზრუნავს სახსრების მობილიზაციაზე ლაბორატორიის მოწყობის მიზნით, მონაწილეობს საგრანტო კონკურსში.

ინდიკატორი შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან ორიენტირებულია კომპლექსური (ბუნების) დავალებების განხორციელებაზე, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს შემოქმედებითი პროცესების და მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. სამივე საგნის კურიკულუმში წარმოდგენილი კომლპლექსური ბუნების დავავლებები მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა რეალურ გარემოში წარმოიდგინოს საკუთარი თავი, რაც მას სწავლის პროცესის სუბიექტად წარმოაჩენს. მოსწავლეს ასევე აქვს შესაძლებლობა განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი პროდუქტები (მაგ. დღიური, სტატია, ვირტუალური საგამოფენო სივრცე, კვლევის ანგარიში და სხვა). სკოლის თვითშეფასების კითხვარით და მასწავლებელთა ინტერვიურებით კი იკვეთება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო კლუბი, საშუალო საფეხურის მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო პროექტულ და კლუბურ მუშაობაში და ღონისძიებებში, რაც აგრეთვე ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას.

უცხოური ენები - სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენების კურიკულუმების რეალიზება მოხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე გაეცნობა ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; ამ აქტივობების მთელი ნუსხაა წარმოდგენილ კურიკულუმებში. სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიები.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მოსწავლეები სავალდებულო პროექტის ფარგლებში ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა აქტივობებში, შექმნიან სახვადასხვა შემოქმედებით პროდუქტებს. სათანადო მტკიცებლება წარმოდგენილია სხვა შემოქმედებითი პროექტების ფარგლებში, სადაც იკვეთება მოსწავლეთა აქტიური, შემოქმედებითი ჩართულობა სათანადო აქტივობებში.

სახელმწიფო ენა - კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, პროექტებით, არაფორმალური განათლებისთვის დამახასიათებელი აქტივობებით.

მათემატიკა - მათემატიკის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას, ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების და

შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებით გამოკვეთილია, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები საკითხის შესწავლის პარალელურად შემოქმედებით პროცესში, ქმნიან სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს და უზიარებენ სასკოლო საზოგადოების წევრებს.

სპორტი - მასწავლებელმა შეხვედრისას ისაუბრა სასწავლო პროცესისთვის ხელშემწყობ გარემოზე, რომელიც შექმნილია სკოლაში, მოსწავლისთვის შეთავაზებულ საინტერესო და საყვარელი სპორტის სახეობებზე, რომელიც გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავებისას, სასწავლო პროცესში თუ სპორტულ ღონისძიებებში გამოყენებულ სპორტულ რესურსებზე რაც თავის მხრივ მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას განაპირობებს. სასწავლო პროცესში საინტერესო, მოსწავლეებისთვის საყვარელი სპორტის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობების, მოსწავლისთვის მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარის შეთავაზება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლებას და შემოქმედებით პროცესში ჩართულობას განაპირობებს. კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომელიც მოძრავი თამაშის და სპორტული ფესტივალითაა განსაზღვრული მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას კიდევ მეტად გააქტიურებას.

საერთო ჯამში 2.2.1.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისე გაწერილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. მასწავლებლები ცდილობენ პროცესი დაიწყონ მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსებით და მოსწავლის შეფასებისას გამოიყენონ ცხოვრებისეული კონტექსტის შესაბამისი კომპლექსური ტიპის დავალებები. ინტეგრირებული გაკვეთილებიც ცოდნათა ურთიერთდაკავშირების მაგალითია პრაქტიკასთან კავშირით(ფიზიკა/ბიოლოგია--"ჩონჩხი-ბერკეტი"). **2.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებული**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, წარმოდგენილ კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად, შესასწავლი საკითხების თანმიმდევრობა, მასალის ორგანიზება კომპლექსური ბუნების დავალებების საფუძველზე, რაც იძლევა წინარე ცოდნის გააქტიურების და ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. **მოცემულ ინდიკატორთან 2.2.1.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენების კურიკულუმების თემები მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტია, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. ამ სტრატეგიის გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალებების პირობებიც, რაც ინტერვიუს დროს მასწავლებლებმაც დაადასტურეს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ახალ მასალაზე მუშაობისას გამოწვევის ფაზაზე წინარე ცოდნის შესამოწმებლად ძირითადად გამოიყენებოდა ისეთი სახვადასხვა აქტივობები,რომლის შემდეგაც ხდება მასზე ახალი ცოდნის დაშენება .მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და მასზე დაყრდნობთ აგებენ ახალს. თითოეული მოსწავლის მზაობის გათვალისწინებით პედაგოგები, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მუშაობენ მოსწავლეებთან. რაც ინტერვიუს შედეგადაც დასტურდება .
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა - ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მასწავლებლები ცდილობენ, რომ სწავლების პროცესი გახადონ კონსტრუქტივისტული და წინარე ცოდნის მიზნობრივი გააქტიურება მათი პრაქტიკის ნაწილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაც კათედრა მუშაობს საგნობრივ კურიკულუმებზე. ასევე წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებების ბარათებში კარგად ჩანს, რომ დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. მეტი სიცხადისთვის კარგი იქნებოდა რომელიმე კომპლექსური დავალების თემატური მატრიცის ნიმუში ყოფილიყო წარმოდგენილი. თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ნებისმიერ ახალ მასალას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოსწავლეები თავად აგებენ.

სპორტი - მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის ეფექტურობის მიზნით მასწავლებელის მიერ შეთავაზებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი, რაც თავის მხრივ მოიაზრებს კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებულ სწავლებას. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების ფესტივალისა თუ მოძრავი თამაშების ფარგლებში ხდება შესწავლილი საკითხების წარმოჩენა, რაც მოსწავლის მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას განაპირობებს. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში გარკვეულწილად კეთდება აქცენტები სწავლის სწავლაზე; პედაგოგები მიმართავენ სხვადასხვა მეთოდს, რაც ეხმარება მოსწავლეს იყოს აქტიური თანამონაწილე საკუთარი სწავლის პროცესის. აღნიშნული მოიცავს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, შეფასებას და მონიტორინგს, რაც იძლევა საშუალებას დადგინდეს , რამდენად ეფექტიანად სწავლობს მოსწავლე, რამდენად შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის გაცნობიერება და პრაქტიკულად გამოყენება. ამ პროცესს ხელს უწყობს პროექტები, სწორად გაწერილი კომპლექსური დავალებები, ინტეგრირებული გაკვეთილები. იგეგმება საზ. მეცნ.კათედრასთან -ბუნებრივი კატასტროფებთან დაკავშირებული გაკვეთილი. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, კომპლექსური დავალებებში ჩაშენებული საკვანძო შეკითხვა, მეტაკოგნიტური კითხვები, განმავითარებელი შეფასება და მასწავლებლის რჩევები სწავლის სტრატეგიის დაუფლებისკენ არის მიმართული. **შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.1.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის მიერ შემუშავებული უცხოური ენების კურიკულუმებში ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. საკვანძო შეკითხვები, იქნება ეს საფეხურის თუ თემის, სწორედ სწავლის-სწავლის სტრატეგიებია. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილი პროექტული დავალებები სწავლის სწავლას შეუწყობს ხელს. მასწავლებელმა გასაუბრებისას აღწერა როგორ მოხდება კურიკულუმში წარმოდგენილი პროექტების განხორციელება და აქვე აღნიშნა პროექტის დროს როგორ განვითარდებოდა მეტაკოგნიტური უნარები.გამომდინარე აქედან შეიძლება დავასკვნათ რომ ,მასწავლებელი იაზრებს სასწავლო პროცესში ცოდნის კეთებით სწავლებით მნიშვნელობას .
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა - კათედრის წევრები აცხადებენ, რომ მოსწავლეებისთვის მეტაკოგნიტური უნარების განვითარება აუცილებელია, რათა ჰქონდეთ მუდმივი მზაობა სიახლეების მისაღებად და იყონ კონკურენტუნარიანი მოქალაქეები. კათედრა ორიენტირებულია იმაზე, რომ მოსწავლეებმა თვითრეგულირებითა და ავტონომიურობით მეტი შეძლონ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - შესწავლილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან ინტერვიუერებისას დადგინდა, რომ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები გააკეთებენ სწავლის პროცესზე დაკვირვებას და რეფლექსიას, თუ რა გამოუვიდათ კარგად, სად შეექმნათ პრობლემა, როგორ გადაჭრეს ის და ა. შ. ასევე შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

სპორტი - კათედრის მიერ მოწოდებული კურიკულუმები იძლევა შესაძლებლობას ვთქვათ რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იქნება სწავლის სწავლაზე. მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას განაპირობებს. კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ისეთი აქტივობების შესრულება როგორიცაა სპორტის სახეობების ისტორიების მოძიება, დამუშავება, პრაქტიკული ელემენტების შესწავლა და შეძენილი ცოდნის გადმოტანა სკოლაში განხორციელებულ სპორტული ფესტივალსა თუ სპორტულ წრეებში ჩართულობისას, რაც თავის მხრივ მოსწავლეს შესაძლებლობას მიცემს დაინახოს თავისი ძლიერი და სუსტი მხარე, განსაზღვროს წარმატების თუ წარუმატებლობის მიზეზი, გააცნობიეროს პრობლემები და მოძებნოს მისი გადაჭრის გზა და საშუალებები. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ გააზრებული აქვთ ცოდნის სამივე კატეგორიის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში და თითოეულის არსი. კომპლექსური დავალებების ეტაპების /ნაბიჯების განხილვისას გასაუბრების დროს იკვეთება, რომ შეთავაზებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, თეორიული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული არაფორმალური განათლების აქტივობები. **ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა,

გეოგრაფია) სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, რადგან კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალების იდეები. თავის მხრივ კომპლექსური დავალების განხორციელება მოსწავლეს აძლევს ბიძგს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების. მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია და რეფლექსია მის მიერ განვლილი ნაბიჯების შესახებ. ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების საშუალებას ასევე იძლევა პროექტული და კლუბური მუშაობის პრაქტიკა. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და კვლავ გეგმავს კომპლექსური ბუნების დავალებების და პროექტების განხორციელებას.
შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან 2.2.1.4. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები -სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენების საგნობრივ პროგრამებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა მოსწავლის მიერ შესასრულებელ დავალებებში, მიმდინარე საკლასო აქტივობებში. ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა. სწორედ ამას ეფუძნება დაგეგმილი კურიკულუმები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - მუსიკაში /ხელოვნებაში საშუალო საფეხურზე წარმომდგენილი პროექტები არის დადასტურება იმისა რომ საგანის სწავლებისას მასწავლებელი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, სადაც მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას .პროექტული დავალებების განხორციელებას პრატქიკაში სხვადსახვა სავეხურზე ადასტურებს მასწავლებელი და დეტალურად აღწერსდავალებაზე მუშაობის პროცესს,რომელიც ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული. გამომდინარე აქედან შეიძლება დავასკვნაღ ,რომ მასწავლებელს,სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა - კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს ცოდნის სამივე სახეზე ხდება აპელირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ცოდნის სამი პირობის მიხედვით საკითის გაგება-გააზრებას, ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებშიც, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში და დავალების ბარათებში. ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს კომპლექსური დავალების და სხვა დავალებების არჩევის პრინციპი, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?".

სპორტი -საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში საგნობრივი საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლისგან სიღრმისეულ გააზრებას მოითხოვს. თემის ფარგლებში გაწერილი საკითხები მოსწავლისგან წესების ცოდნას ითვალისწინებს, სასწავლო სიტუაციები, ტექნიკური ელემენტები, ვარჯიშები, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს და სხვადასხვა აქტივობებით მრავალჯერ ამეორებინებს პროცედურულ ცოდნას, ხოლო მოსწავლეთა ჩართულობა მოძრავ თამაშებში, ფესტივალებში პირობისეულ ცოდნას განაპირობებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები იძლევა ნათელ სურათს, თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. პედაგოგი გეგმავს ინტეგრირებულ გაკვეთილებს, თუმცა აქ დასახვეწია შეფასების რუბრიკები, რომლებიც გაერთიანებულად უნდა იძლეოდეს სურათს ყველა საგნის ფარგლებში მისაღწევი/მიღწეული შედეგების შესახებ. პედაგოგებს აქვთ ამასთან დაკავშირებით მზაობა. **ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად, გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, ქვეცნებები და საკითხები, კომპლექსური დავალების იდეები,

ძირითადი კონტექსტ მაგალითები იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას და მოსწავლეს აძლევს ფიქრის საშუალებას, გამოყოს პრობლემა და თავი მოუყაროს ყველა იმ ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია.
ინდიკატორთან 2.2.1.5. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის სასუალო საფეხურის მიერ შემუშავებული უცხოური ენების საგნობრივ პროგრამებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, აღნიშნულ ოპერაციებს მოსწავლე აწარმოებს პროექტების განხორციელებისას. ამის დასტურად წარმოდგენილია ინტეგრირებული პროექტი ეკოლოგიაზე, რომელიც ინგლისური ენის მასწავლებელმა ქართული ენის მასწავლებელთან ერთად განახორციელა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - როგორც კათედრის წევრები აშიშნავს სკოლას აქვს გამოცდილება ინტეგრირებული სწავლების. ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთ დაკავშირება იკვეთება მუსიკში წარმოდგენილ პროექტში „ალტრერნატიული მუსიკა , ანდეგრაუნდი ქართული და დასავლური პარალელები “ ;“ ეროვნული იდენტობა და ევროპული მუსიკალური აზროვბნების საკითხები ზ. ფალიშვილის შემოქმედებაში“და ხელოვნებაში წარმოდგენილ პროექტში „ტექნიკური პროგრესი,სამეცნიერო მიღწევები,აღმოჩენები და ხელოვნება „;“ხელოვნება ,როგორც გამოხატვის საშუალება,ხელოვნება და მისი ფუნქციები თანამედროვე სამყაროში“წარმოდგენილი პროექტები საშუალო საფეხურზე ეხება კონკრეტულ ქვეცნებას, რომელიც უკავშირდება სამიზნე ცნებებს, იგივე სამიზნე ცნებები უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხს, ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა - კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება აქტიურდება. მასწავლებლები აცხადებენ, რომ ასეთი ტიპის დავალებების ეფექტიანობა დიდია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შერჩეული მრავალფეროვანი რესურსებით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ეს

დასტურდება პედაგოგებთან ინტერვიუდანაც. მათ აღნიშნეს რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეები ხედავდნენ ნასწავლი საკითხების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების მაგალითებს, როგორ უკავშირდება ახალი მასალა ადრე ნასწავლ საკითხებს.

სპორტი - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმები კომპლექსური დავალებებით სწავლებას მოიაზრებს, სადაც ორიენტირება საკითხების სიღრმისეულ სწავლებაზე, ცოდნათა ორგანიზებასა და საგანთა ურთიერთდაკავშირებაზე კეთდება. კომპლექსური დავალების განხორციელებისას, სპორტული ფესტივალი, მოძრავი თამაში თუ პროექტის მომზადება მოსწავლისგან უკვე ნასწავლი საკითხების წარმოჩენას, ცოდნათა ორგანიზებას მოითხოვს. მასწავლებელმა შეხვედრისას ისაუბრა მოსწავლის მიერ შესწავლილი საკითხების ცხოვრებაში გამოყენებისა თუ გადატანის შესახებ, რომელსაც განახორციელებს ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 11 კლასი -პროექტი მუსიკაში
- 10 კლასი -კურიკულუმის ჩარჩო ხელოვნებაში
- მე-11 კლასის პროექტული სწავლების შეფასება
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტ
- ინტერვიუ

უცხოური ენები

- დანართი 1. სასკოლო გეგმა
- დანართი 9. სტრატეგიული გეგმა
- დანართი 26. პროექტი-ტოლერანტობა
- თვითშეფასების ფორმა
- უცხოური ენების კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.ამას ადასტურებს შუალედური სასწავლო მიზნებიც, რომლებიც იკითხება კურიკულუმის ჩარჩოში. **ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რომელსაც სავალდებულო თემების ფარგლებში მოცემული საკითხების სწავლების პროცესი მიემართება. რელევანტური კავშირი ჩანს საკითხსა და რესურსებს შორის. **ინდიკატორთან 2.2.2.1. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -საშუალო საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენების საგნობრივ პროგრამებში საფეხურის შედეგების და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმები, მეორე მხრივ მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოკვეთილი სწორი აქცენტები და სასწავლო პროცესის გააზრებული ხედვა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის.
მასწავლებლებთან გასაუბრებიდან და მოცემული დოკუმენტაციის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ ,რომ მასწავლებლები მზად არიან მოცემული კრიტერიუმის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში წაიყვანონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

სახელმწიფო ენა - კომპლექსურ დავალებების შესრულება და პროცესზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლეს სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების თანდათანობით ჩამოყალიბებაში უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში ნათლად ჩანს კავშირი სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს და საგნობრივ საკითხებს შორის. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება-გააზრებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პედაგოგებმა დეტალურად ისაუბრეს მათ მიერ გასულ სასწავლო წლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებების და მისი შედეგების შესახებ.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები შემუშავებულია ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შესაბამისად. კურიკულუმებში თემების შერჩევისას გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურა და მოსწავლეთა ინტერესი სპორტის სახეობების მიმართ. შუალედური მიზნები წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ედეის სახით და ითვალისწინებს სპორტული ფესტივალის, მოძრავი თამაშებისა თუ პროექტის განხორციელებას. შერჩეულ თემებში ხდება სამივე სამიზნე ცნების დამუშავება მოსწავლისთვის შეთავაზებულია სასწავლო თუ ინტერნეტ რესურსები, სახელმძღვანელოები, ლინკები, რომლებიც საგნობრივი საკითხების დამუშავებას უზრუნველყოფს და იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საგნობრივი კონტექსტები სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები და მათ დასაფარად შერჩეული საკითხები/ქვესაკითხები/კომპელქსური დავალებები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ , აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას, რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მოსწავლეთა საჭიროებების საპასუხოდ დაგეგმილი ღონისძიებები, აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს, რომ მათ შეძლონ საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვა სასურველი მიზნების მისაღწევად. აღნიშნული აქცენტები უფრო ცხადი გახდა პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ. მაგალითად: სკოლას არ აქვს სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია, თუმცა პედაგოგი საკუთარი ძალისხმევით ცდილობს მოიძიოს რეაქტივები, რათა მოსწავლეებს აჩვენოს სხვდასხვა მარტივი ცდა და საინტერესოდ გადასცეს შესასწავლი საკითხი; სასწავლო პროექტი უკრაინის ომს დაწყებისას :-მე-11 კლასში ფიზიკამ გააკეთებინა პროექტი „რადიაცია ყოფაცხოვრებაში“.
ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. შეთავაზეული კონტექსტები მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. კომპლექსური დავალებების განხორციება გულისხმობს მოსწავლეთა და მოსწავლე-მასწავლებელს შორის ურთიერთობას პოზიტიურ გარემოში. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ მასწავლებლები სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად ეცდებიან გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორთან 2.2.2.2. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენების საგნობრივ პროგრამებში გათვალისწინებული აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ფორმალური და არაფორმალური აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ მოსწავლემ გამოხატოს თავისი ინტერესი, ისწავლოს აზრის კორექტულად გამოთქმა, ემპათია სხვისი

მოსაზრების მიმართ, ეფექტური კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი პროექტებიდან შეიძლება დავასკვნათ,რომ წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები პროექტული დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შეჩეული თემები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას ,ასევე ხელოვნების ნიმუშზე/საკუთარ ნამშევარზე მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა.
შეიძლება ითქვას,რომ გასაუბრებისას კათედრის მიერ დასახელებული და გაანალიზებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

სახელმწიფო ენა - კათედრასთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება ხდება სხვადასხვა აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების შესრულების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ, კოგნიტურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასწავლო პროცესის სწორად წარმართვის მიზნით პედაგოგებმა მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით ერთობლივად დაგეგმეს სასწავლო პროცესი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღინიშნეს, რომ პედაგოგები არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. განხორციელებული აქტივობები (კომპლოექსური დავალებები და პროექტები) მოსწავლეს საშუალებას აძლევს ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები.

სპორტი - კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმები, რომელთა შემუშავებისას იკვეთება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. მასწავლებელმა ისაუბრა მოსწავლეთა ჩართულობაზე არა მარტო სასწავლო პროცესის დროს, არამედ სკოლის გარეთ ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნული, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში დაგეგმილია კომპლექსური დავალების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს სპორტული ფესტივალის თუ მოძრავი თამაშების ჩატარებას, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას განუვითარდეთ ემპათიის, პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის, გუნდურობის უნარ-

ჩვევები, ასევე მართონ ემოციები, დაინახონ პრობლემები და დასახონ პრობლემის გადაჭრის გზები. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული გახადოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; წარმოდგენილია პროექტის, პრეზენტაციის, რეფერატის შეფასების რუბრიკები, ასევე, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემები, სადაც ჩანს სათანადო კრიტერიუმები მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის. **ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიხედვით თვალნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. თვითშეფასების და მასწავლებელთა ინტერვიურების თანახმად, საბაზო საფეხურზე იგეგმება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების და თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების წარმოება წარმოდგენილ შესაბამისი რუბრიკების მაგალითებზე დაყრდნობით.
ინდიკატორთან 2.2.2.3. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები -სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენების საგნობრივ პროგრამები მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით ისეთ თვითშეფასების სქემებს, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენს რეფლექსიას მათი სწავლის პროცესზე. ამასთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დავასკვენი, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს,რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც.

მასწალებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსებას . მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე .
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

სახელმწიფო ენა - კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში იგეგმება შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადსხვა შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა სხვადასხვა აქტივობების შეფასებას. ეს რუბრიკები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტებს და მათ შორის მოსწავლეთა თვითშეფასებას. ასევეა წარმოდგენილი მათემატიკის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

სპორტი - კათედრამ წარმოადგინა დაწყებით საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ერთი თემიდან ,,მძლეოსნობა“ გამომდინარე, სადაც კრიტერიუმი ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას რბენის, ხტომისა და ტყორცნის დროს. მასწავლებელმა შეხვედრისასა ისაუბრა მსგავსი ტიპის შეფასების რუბრიკებზე თემების მიხედვით, რომელსაც გამოიყენებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და შეაფასებს თემიდან გამომდინარე ტექნიკური ელემენტების ცოდნას. მან ასევე აღნიშნა, რომ ქოუჩინგის დროს ეს საკითხი მისთვის ოდნავ ბუნდოვანი დარჩა, თუმცა კათედრასთან თანამშრომლობით და ასევე გასაუბრებისას ეს საკითხი გარკვეულია და შეძლებს ისეთი შეფასების, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი რუბრიკების შემუშავებას შერჩეული თემებიდან გამომდინარე, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული მოსწავლის შეფასების ინსტრუმენტები შეესაბამება მიზნებს და მოსწავლის საჭიროებებს. მოსწავლეთათვის წინასწარაა ცნობილი, თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ფლობენ შეფასების ტექნიკას. სპორტის მასწავლებელმა შეხვედრისას ისაუბრა სასწავლო პროცესში გამოყენებულ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაზე, რა დროსაც მოსწავლეებმა იციან, რომ ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა, ზოგად განმავითარებელი ვარჯიშები, სასწავლო პროცესში ჩართულობა, თამაშის წესების ცოდნა თუ უსაფრთხოების დაცვა ფასდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. ახალი შეფასების რუბრიკებში, რომელიც ამ კათედრაზე ეტაპობრივად თემიდან გამომდინარე შეიქმნება გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები , რომლითაც მოსწავლის წინსვლის შეფასება მოხდება სამიზნე ცნებებზე მიმართებით. ზოგადად, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემების საფუძველზე იკვეთება მზაობა, რომ სკოლის მიერ შექმნილი შეფასების სისტემა იქნება ვალიდურ, ობიექტური და გამჭვირვალე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

5. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. კათედრაზე წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე ფასდება მოსწავლეთა ნამუშევრები. მასწავლებლები იცნობენ, თუმცა ჯერ არ აქვთ დანერგილი ავტორიზაციის ფარგლებში ნიმუშების სახით მიწოდებული შეფასების ინსტრუმენტები. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გამოცდილება არსებობს როგორც კათედრაზე მუშაობის, ასევე ხარისხის ჯგუფის მუშაობის ფარგლებში, რაც იმის წინაპირობაა, რომ ვერიფიკაციის მექანიზმი იქნება რელევანტური. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

6. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს, ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

……

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. სასკოლო გეგმა

დანართი 15. ხარისხის ჯგუფის დებულება

დანართი 25. შემაჯამებელები

დანართი 9. სტრატეგიული გეგმა

თვითშეფასების ფორმა

შეფასების-რუბრიკები

დანართი 49. ინდ.გეგმები 1

დანართი 43. კითხვარი მოსწავლეების

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის ღირებულებებია თანამშრომლობა, გუნდურობა, ღიაობა, დემოკრატიული მართვა. სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი რომელიც მიმდინარეობს თანამშორმლობით, ღიაობის მტკიცებულებაა. ეს ნიშანი აშკარაა კათედრების მუშაობაში, რაც გამოჩნდა მასწავლებლებთან შეხვედრისას და იკითხება დანართებში -სასკოლო გეგმა, სტრატეგიული გეგმა, მოსწავლეების კითხვარი,

მშობლებთან ურთიერთობა. მოსწავლეთა მხარდაჭერა უზრუნველყოფილია მათზე მორგებული კურიკულუმების, შეფასების სისტემით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სახით. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. ინფრასტრუქტურულად გათვალისწინებულია მოსწავლეთა სპეციალური საჭიროებები, სკოლას აქვს ლიფტი, სათანადოდ მუშაობს რესურსოთახი. ღონისძიებები, ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებები არამარტო შიდასასკოლო, არამედ რაიონის სხვა სკოლებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის- ეს ყველაფერი მეტყველებს სასწავლო პროცესში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს არსებობაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები, ისგ სსსმ მოსწავლესთან სამუშაოდ, დანართი-კითხვარი მოსწავლეებისთვის ამის დასტურია. ინტერვიუს დროს კათედრების წევრებმა აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლეს მიეცემა საშუალება ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას მისცემს. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, სადაც მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა აქტუალურ და ეკოლოგიურ საკითხებს, მართავენ შემეცნებით კონფერენციებს და აანალიზებენ დედა-ბუნებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებს, სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სამეწარმეო კლუბი „ბწკარა“, სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭროებები. იმართება მოსწავლეების მიერ შექმნილი თვითნაკეთი საახალწლო სათამაშოების გამოფენა-გაყიდვა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კათედრების წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა კათედრების წევრთა მოვალეობაა. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, სკოლის პრაქტიკაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობრის” და ინტეგრირებული გაკვეთილები დაგეგმვა-ჩატარების პრაქტიკა. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს თანამშრომლობაზე დაფუძნებით უზიარებენ გამოცდილებასა და რჩევებს, სკოლაში არსებობს მიმღებლობის მაღალი დონე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებს, აღიარება/პატივისცემას,

ნდობას, მაღალ მორალურ ღირებულებებს, ჩართულობას და მიკუთვნებულობის მაღალ გრძნობას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და ეს მათთვის ძირითადი პრიორიტეტია. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტისთვის აშკარად თვალშისაცემია სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატი, რომელიც იწყება კლასიდან და ვრცელდება ყველა რგოლზე. საგანმანათლებლო გარემო ორიენტირებულია თავისუფალი აზრის დაფიქსირებაზე, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასკოლო საზოგადოებას სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა ჰქონდეს. საკლასო სივრცეში არსებული თვალსაჩინოებები, ქცევის წესები, ფრაზები/გამონათქვამები, ოთახების დიზაინი, სააქტო დარბაზი, კეთილმოწყობილი ეზო-ეს ყველაფერი ქმნის პოზიტიურობის განცდას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. სასკოლო გეგმა

დანართი 15. ხარისხის ჯგუფის დებულება

დანართი 19. მშობლებთან ურთიერთობა

დანართი 18. დამრიგებლის დებულება

დანართი 9. სტრატეგიული გეგმა

თვითშეფასების ფორმა

დანართი 49. ინდ.გეგმები 1

დანართი 43. კითხვარი მოსწავლეების

დანართი 22. კოლეგებთან შეხვედრა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის ცხადია, კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. კათედრის თავმჯდომარის, ხარისხის განვთარების ჯგუფის და დირექციის მიერ გარკვეულწილად ხორციელდება სასწავლო წლის მანძილზე სამოქმედო გეგმების, კურიკულუმის განხორციელებაზე, შემაჯამებელი დავალებების შეფასების ანალიზზე, ინტეგრირებული თუ სამოდელო გაკვეთილების ჩატარებაზე მონიტორინგი, რეკომენდაციების გაცემა, ტრენინგებში ჩართვა და საჭიროებებიდან გამომდინარე კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა. დასახვეწია აქამდე არსებული მონიტორინგის ინსტრუმენტები, პედაგოგები იცნობენ წინასაავტორიზაციო შეხვედრების დროს გაზიარებულ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს და მისი გამოყენებით მოხდება ესგ-ს დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. სკოლას კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს დანართები: სასკოლო გეგმა, ხარისხის ჯგუფის დებულება, შემაჯამებლები, კითხვარი მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის

ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია სასაკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მხარდამჭერი ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილზე დასწრებას, დაკვირვების განხორციელების შემდეგ გაიცემა პოზიტიური უკუკავშირი, რაც მნიშველოვანია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის შესაფასებლად სკოლას რიგი ინსტრუმენტები შემუშავებული აქვს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო პროცესის მონიტორინგს განახორციელებს კათედრები, სკოლაში შექმნილი კრიტიკული მეგობრის ჯგუფი. კათედრების წევრებთან განხორციელებული შეხვეედრის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა ხარვეზების მიხედვით განახორციელონ კურიკულუში ცვლილება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. სასკოლო გეგმა

დანართი 15. ხარისხის ჯგუფის დებულება

დანართი 19. მშობლებთან ურთიერთობა

დანართი 9. სტრატეგიული გეგმა

თვითშეფასების ფორმა

დანართი 43. კითხვარი მოსწავლეების

დანართი 22. კოლეგებთან შეხვედრა

დანართი 25. შემაჯამებელები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მითითებულია, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო ისე სასკოლო დონეზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლები კლასების მიხედვით წინასწარ ეცნობიან მასწავლებლის მეთოდურ ლიტერატურაში არსებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. პედაგოგები იცნობენ შეფასების ახალ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებასაც გეგმავენ 2023-2024 სასწავლო წელს, უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის თვითშეფასების ინსტრუმენტს. კათედრების წევრები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, რაც ამცირებს შეფასების სისტემის ვარიაციის ხარვეზს და ნათელს ხდის სრულ სურათს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მასწავლებლები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. შეფასება ხორციელდება ძირითადად შემაჯამებელი დავალებების, კომპლექსური დავალებების, საკლასო აქტივობებში ჩართულობის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების მიხედვით. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, დიაგნოსტიკურ ტესტს. ამასთანავე, შეფასებისთვის დაკვირვება ხდება როგორც კლასში, ასევე ეზოში, სათამაშო სივრცეში, არაფორმალურ გარემოში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მასწავლებლები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, მაგ. დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა, რასაც ადასტურებს სხვადსხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. ამ ეტაპზე მზაობის შესაფასებლად ვეყრდნობით კათედრის მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მასწავლებლები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ სწავლა -სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. შეფასებისას მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას ყველა მოქმედი ფაქტორი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1. სასკოლო გეგმა

დანართი 9. სტრატეგიული გეგმა

თვითშეფასების ფორმა

დანართი 43. კითხვარი მოსწავლეების

დანართი 25. შემაჯამებელები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე, დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილებას გამოიყენებენ ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის სტრუქტურის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმს, როგორ გაუწევს მონიტორინგს კურიკულიმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, **შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სსიპ გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის კათედრების წევრები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ და დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. ისინი აღნიშნავენ, რომ ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნება.2023-2024 სასწავლო წლიდან ამოქმედებას დაიწყებს ესგ-ს დანერგვის ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი(მოსწავლის თვითშეფასების),

რომლის შედეგები გახდება სამომავლოდ კურიკულუმის რევიზირების საფუძველი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დანართი 3. სკოლის ფილოსოფიის რევიზიის გეგმა

თვითშეფასების ფორმა

დანართი 25. შემაჯამებელები

კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში მოპოვებული ინფორმაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ვარდენ ნიქაბაძე/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ტარიელ გველესიანი/

/ლია ნეფარიძე /

/მარინე ახალაია/

/ნონა ბეროშვილი/

/დიმიტრი პოპოვი/

/ხათუნა დუგლაძე/

/ნინო ზირაქაძე/

/ნინო ჭიჭინაძე/

/ინგა ხავთასი/

/როლანდ ხოჯანაშვილი /

თარიღი: 19.11.2023